ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 7 თებერვალი 2001 №19 (1292) | ფასი 50 თეთრი


**5** მაფია უკვდავია



ერიკ კანტონას გამხელილი საიდუმლო

**6** მშრალი კანონი ინგლისში



არ დალევთ, აბა, რას იზამთ!

**9** ვიკინგური

ნორვეგიელმა კეტილ ანდრე ამოდტმა ავსტრია კვლავ უოქროსმედლოდ დატოვა




**14** უელსის დამრტყმელის ათასი

ნილ ჯენკინსმა სანაკრებო კარიერაში სარეკორდო 1000 ქულას უწია



# კალაძემ ბერლუსკონის გამოცდა ჩააბარა

## მერე კი იტალიური დედა ენა გადაშალა

კახა კალაძეს იტალიური დებიუტი ჩინებული გამოუვიდა. კვირას მან პირველად ითამაშა სერია A-ში, უკვე ხალხიც აალაპარაკა და თავისადმი კეთილად განაწყო. „მილანმა“ რომ „რეჯინა“ დაამარცხა, ჩვენებური მატჩში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მალდინისა და ლეონარდოს მსგავსად, ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა კახას თამაში 6,5 ქულით შეაფასეს და სანაქებო სიტყვები არ დააკლეს.

დღეს კალაძეს იტალიის თასის მატჩი ელის „ფიორენტინას“ წინააღმდეგ. გუშინ მასთან გასაუბრება ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, „მილანის“ ფლორენციაში გამგზავრებამდე მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი შეგირდებს თეორიულად მოძღვრავდა. სამაგიეროდ, „მილანის“ ქართველ სელექციონერ რევაზ ჭოხონელიძესთან მოვახერხეთ დაკავშირება და ვთხოვეთ, კახას იტალიურ დებიუტზე ორიოდ სიტყვა ეთქვა.

— კახამ მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა, ყველა კმაყოფილი დარჩა. კლუბის პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმაც, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკით არის დაკავებული და წუთითაც არა აქვს მოცლა, კახას ტელეფონით მიულოცა და თბილი სიტყვებიც მრავლად უთხრა, გამოცდა ჩააბარეო. კომპლიმენტები კალაძეს არც ადრიანო გალიანისგან დაჰკლებია, მწვრთნელმა ძაკერონიმ კი მისი თამაში ცალკე აღნიშნა. რაც მთავარია, კალაძემ მილანელი ქომაგების პატივისცემა დაიმსახურა, მატჩის შემდეგ ტიფოზები კალაძე, კალაძეს გაიძახოდნენ. სხვათა შორის, „მილან“ — „რეჯინას“ მატჩს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი რევაზ არველაძეც ესწრებოდნენ და კახას თამაშით ნასიამოვნებმა მილანელებმა არც ისინი დაივიწყეს. კიდევ ბევრია საქართველოში კალაძისნაირი ფეხბურთელიო — ეკითხებოდნენ მათ. ამ ტრანსფერით ქართული ფეხბურთისთვის მართლაც კარგი საქმე გაკეთდა. იტალიაში უფრო უკეთ გაიცნობენ ჩვენს ქვეყანას და ქართველ ფეხბურთელთა ავტორიტეტიც ამაღლდება. რაც მეტი ჩვენებური ითამაშებს სერია A-ში მით უკეთესი. კახამ იტალიური ენის სწავლაც დაიწყო, კლუბმა მას მასწავლებელი დაუქირავა, გუშინ პირველი, სამსაათიანი გაკვეთილი ჰქონდა და ყოველდღე ასე იქნება.

მიუხედავად ჩინებული დებიუტისა, კალაძეს არ უნდა ეგონოს, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი განაღდებული აქვს. ძაკერონიმ ის კი შეაქო, მაგრამ ისიც უთხრა, იტალიაში სტაბილურად სათამაშოდ რაღაც-რაღაცეების სწავლა კიდევ მოგიწევსო. თავად კახა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, საკმაოდ მონდომებულია, მწვრთნელისა და ყველა თანაგუნდელის რჩევას ყურს უგდებს. გუნდმაც თბილად მიიღო, გამოცდილი მილანელები — მალდინი, კოსტაკურტა, ალბერტინი სულ მის გვერდით არიან და ამხნევებენ. შევჩენკო კი დღე და ღამე კახასთანაა, ვარჯიშზე ერთად დადიან, ერთად ერთობიან.

ორიოდ დღის წინ იტალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმაც ნახა და საქართველო — იტალიის მატჩი გაახსენა. მაშინვე დაგადგი თვალი და ორი წელიწადი გაკვირდებოდიო, უთხრა. ერთი სიტყვით, კახამ იტალიაში სახელი უკვე დაიგდო. მას პატივს სცემენ, აფასებენ. მომავალში კი, იმედი მაქვს, მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდება — გვითხრა რევაზ ჭოხონელიძემ.

**კობა ინასარიძე**




„მილანის“ ქართველი კახა კალაძე და „რეჯინას“ ალბანელი ნენად ბოგდანი

LA GAZZETTA DELLO SPORT

# შტუდერის შტუდიები

## ქვეყნად ორია მხარე ჯორჯია

*...იტალიის ნაკრების გულშემატკივრებს საქართველოს ხსენებისას ცივი ოფლი ასხამთ...*

*...საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე უნდა ითამაშოს, რადგან, როცა სიტყვა „ჯორჯიას“ ახსენებენ, ყველა ატლანტის შტატსა და „კოკა კოლას“ გულისხმობს...*

*...გაანათეთ ეროვნული, თორემ ნაკრებს თბილისში ვერ ათამაშებთ!..*

**გვაქებს, გვირჩევს და გვაფრთხილებს უეფას გენმდივან გერჰარდ აიგნერის თანაშემწე მარკუს შტუდერი**

იხილეთ მეორე გვერდი




მარკუს შტუდერს მსმენელი ბევრი ჰყავდა

ზაზა კიკილაშვილის ფოტო

# შტუდერის შტუდიები

## ქვეყნად ორია მხარე ჯორჯია



სფფ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თანამშრომელი დავით პეტრიაშვილი და მარკუს შტუდერი

**უეფაში** ჩატარებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად აღმოსავლეთ ევროპის დახმარების ბიურო გაუქმდა. მის ფუნქციას განვითარების კომიტეტი ითავსებს, რომლის ხელმძღვანელი თბილისში არაერთგზის ნამყოფი ერიხ ეპლეა. სწორედ ამ კომიტეტმა ჩაატარა გუშინ ადმინისტრაციული პროგრეს-კურსები საქართველოს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების პრეზიდენტებისთვის. ერიხ ეპლე კი შეუძლოდ გამხდარა და ჩამოსვლა ვერ მოახერხა. სამაგიეროდ, უეფას კიდევ ერთი დიდმოხელე, გენერალურ მდივან გერჰარდ აიგნერის თანაშემწე მარკუს შტუდერი გვეწვია.

კლუბების ლიცენზირება და ტრანსფერები — ძირითადად ამ საკითხზე ჩაატარა ლექცია შვეიცარიელმა სტუმარმა და ჩვენი კლუბების წარმომადგენლების შეკითხვებსაც უპასუხა. ლექცია-დისკუსიაზე მარკუს შტუდერმა რამდენიმე საინტერესო თემა მოხაზა.

— თქვენს ქვეყანაში ფეხბურთის ორგანიზაციული დონით უეფა კმაყოფილია. ცნობილი ფეხბურთელები ჰყავს საქართველოს, რაც დიდი განძია. ჩემს სამშობლოში ორი ჩინებული ქართველი თამაშობს — ჯამარაული და ყაველაშვილი. მე „ციურიხის" გულშემატკივარი არ ვარ, მაგრამ ამ ორი ფეხბურთელის გამო მის მატჩებს ხშირად ვესწრები. ხოლო როცა იტალიის ნაკრების გულშემატკივრებს საქართველოს გუნდზე ველაპარაკები, მათ ციცი ოფლი ასხამთ.

— ახლა, ევროპის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში ფეხბურთელებს ძალიან დიდ ხელფასს უხდიან, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებს უმდიდრესი კლუბების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამიტომ მათთვის და თქვენთვისაც, მთავარი პრიორიტეტი ახალგაზრდა მოთამაშეების აღზრდა უნდა იყოს.

— ასეთი შეხედულება აღარავის უნდა უკვირდეს. კარგი მწვრთნელი ახალგაზრდა ფეხბურთელს უფრო სჭირდება, დალვინებულ მოთამაშეს კი კარგი ფსიქოლოგი.

— 2003-04 წლების სეზონისთვის უეფას საკლუბო ტურნირებზე მონაწილე გუნდებისთვის აუცილებელი იქნება ლიცენზირება, რაც უეფას დირექტივებით ეროვნულმა ფედერაციებმა უნდა გააკეთონ — რომელი გუნდიც მინიმალურ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს, ლიცენზირებას ვერ გაივლის და ევროტურნირებზეც ვერ იასპარეზებს. ჩვენ კლუბებისგან მინიმალური სტანდარტების დაცვას ვითხოვთ და არა მდიდარ ბიუჯეტს.

— კლუბებმა ხშირად უნდა მოაწყონ ღია კარის დღეები გულშემატკივრებისთვის. ეს აუცილებლად მიმაჩნია. გულშემატკივარი ის ხალხია, ვინც ფულს იხდის თქვენი გუნდის თამაშზე დასასწრებად. კლუბები უნდა უფრთხილდებოდნენ თავიანთ იმიჯს.

— სტადიონზე უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს. მინიმალური კომფორტი თუ იქნება, გულშემატკივრები ოჯახთან ერთად ივლიან სტადიონზე.

— ამას წინათ უეფას ერთ-ერთ ჩინოსანს ჰქონდა შეხვედრა თქვენს პრეზიდენტთან. შევარდნაძემ ჰკითხა მას, რა უნდა გავაკეთო ქართული ფეხბურთის წინსვლისთვისო. ჩვენმა წარმომადგენელმა კი მას უპასუხა — ყველაფერი უნდა ილონოთ, რომ ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშოს, რადგან, როდესაც სიტყვა „ჯორჯიას" ახსენებენ, ყველას ჰგონია, რომ ლაპარაკია ატლანტის შტატზე და მის ღირსშესანიშნაობა „კოკა-კოლაზე", ხოლო თუ საქართველოს ეროვნული გუნდი ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, მთელი მსოფლიო გაცილებით უკეთ გაიცნობს თქვენს ქვეყანასო...

შუადღისას კი ბატონმა შტუდერმა სასტუმრო „თორში" პრესკონფერენციაზე მიგვიწვია და ერთი უსიამოვნო ამბავი შეგვატყობინა:

„არ გექნებათ „ეროვნულზე" საკადრისი განათება, რუმინეთთან თბილისში ვერ ითამაშებთ". თბილისთან ერთად საქართველო იგულისხმა სტუმარმა.

ფეხბურთის ფედერაცია რუმინეთთან მატჩზე ერთჯერადი განათების გამოყენებას აპირებს და ამისთვის თურქებს დაახლოებით 60 ათას დოლარსაც გადაუხდის, მაგრამ აქვე გვინდა ვიკითხოთ, რას აპირებენ სხვა მეწილეები? როგორც ვიცით, „ეროვნულისთვის" სასარგებლო მერიას და სხვასაც ბევრიც არაფერი გაუკეთებიათ.

...ნეტავ მალე აშენდებოდეს „მიხეილ მესხი".

**დავით თავართქილაძე**
**დათო დანელია**

# სფფ გამეცნიერდა

**ინფორმაცია** უნდა გავრცელდეს, ინფორმაცია ყველამ უნდა მიიღოს, ინფორმაციული ვაკუუმი დაუშვებელია, ინფორმაცია ფული ღირს...

...ეს საჯარო ბიბლიოთეკის საშვია, აქ უამრავი წიგნი ინახება.

...აქ, ინტერნეტში კი უამრავი ბიბლიოთეკა ინახება — რას ვიზამთ, ცხოვრება წინ მიდის, ქვეყანა გამეცნიერდა...

ამიერიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ექნება საკუთარი საინტერნეტო გვერდი ანუ ვებსაიტი. და ვისაც ინტერნეტის ქსელში ჩართულ კომპიუტერზე ხელი მიუწვდება, დისპლეიზე გადაეშლება კიდეც ყველანაირი ინფორმაცია სფფ-ზე, ჩვენი ნაკრებების ფეხბურთელებსა და მწვრთნელებზე, მათი ფოტოები, აგრეთვე ცხელ-ცხელი ამბებიც.

ყოველივე ეს სფფ-სა და საქართველოში ერთ-ერთი ინტერნეტ-პროვაიდერი ფირმა „სანეტის" თანამშრომლობით მოხერხდა, საქმეში ჩართულია სააგენტო „პრაიმ ნიუსიც". ერთი სიტყვით, ვისაც სფფ-ის ამბები და საინფორმაციო სერვისის ხარისხი გაინტერესებთ, აკრიფეთ: http://www.gff.ge

**დავით თავართქილაძე**




სფფ-ს საინტერნეტო გვერდის თავფურცელი



გოგა გახოკიძე ვან ნისტელროის აგენტის სიტყვას ელის

# რუუდ და გოგა, აი, ძმობა

## ნისტელროი გახოკიძეს გერეტსის ტყვეობიდან დაიხსნის

**გოგა გახოკიძე** კვლავაც პსვ-ს ფეხბურთელია, ამ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მწვრთნელი ერიკ გერეტსი არ ათამაშებს და მისი მომავალი ჯერაც გაურკვეველია — თავადაც არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას. გახოკიძეს მწვრთნელი არ სწყალობს და ძირითადი შემადგენლობის მიღმა ტოვებს. მისი უთამაშებლობის მიზეზი კი გერეტსის განმარტებით ის არის, რომ ჩვენებური ჰოლანდიურად ვერ ლაპარაკობს.

უთამაშებლობა ვახსენეთ და გოგას საქმეები მთლად ასეც არ არის. ის პსვ-ის სარეზერვო გუნდში რეგულარულად თამაშობს და პარტნიორებს შორის ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესოცაა. ბოლო სამ თამაშში გოგა გახოკიძემ 5 ბურთი გატანა და ერთ თანაგუნდელს ამის გაკეთებაში დაეხმარა.

ორიოდ დღის წინ კი გოგა გახოკიძე პსვ-ის ფორვარდმა რუუდ ვან ნისტელროიმ თავის პირად აგენტს დააკავშირა და დაპირდა, ეს კაცი აუცილებლად გამოგინახავს შენთვის შესაფერის გუნდსო. გოგაც ამის იმედად არის და თქვა, უახლოეს მომავალში პსვ-დან ალბათ გავთავისუფლდებიო.

**ძოგა ინასარიძე**

### ინგლისი

II დივიზიონი

გადადებული მატჩები

კოლჩესტერი 0:1 მილუოლი

უიკომბი 0:2 კემბრიჯი

ბორნმუთი — რედინგი

ნორთჰემპტონი — სუონსი

გადაიდო

III დივიზიონი

გადადებული მატჩები

ჩელტენემი — იორკი

როჩდეილი — ბრაიტონი

შრიუსბერი — კიდერმინსტერი

გადაიდო

თასის მეთექვსმეტედფინალი

მიდლსბრო 0:0 უიმბლდონი

გადათამაშება 13 თებერვალს

### შოტლანდია

გადადებული მატჩი

აბერდინი — დანდი იუნაიტედი

გადაიდო

თასის III ეტაპი

ქუინ ოფ საუთი — ეირდრი

გადაიდო

თასის III ეტაპი. გადათამაშება

ფალკირკი — დანდი

დანფერმლაინი — სენტ ჯონსტონი

გადაიდო

ლიგის თასის ნახევარფინალი

სენტ მირენი 0:3 კილმარნოკი

0:1 მაკლარენი (39), 0:2 დარგო (69), 0:3 კანერო (78)

### გერმანია

თასის ნახევარფინალი

უნიონი (ბერლ.) 2:2 (პენ.4:2) გლადბახი (II)

1:0 დერკოვსკი (27), 1:1, 1:2 ვან ლენტი (4, 67), 2:2 მენზე (80)

### საფრანგეთი

XXVI ტური

რენი 3:0 სენტ ეტიენი

1:0 ნდიაე (2), 2:0 სეზარი (7), 3:0 ნდიაე (33)

ლიონი 1:1 მარსელი

1:0 ანდერსონი (52პ), 1:1 ჟ. ლერუა (76)

### ესპანეთი

თასის მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩი

ატლეტიკო (I) 3:1 გრანადა (III) (1:0)

1:0 სალვა (31), 2:0 დანი კარვალიო (51), 3:0 სალვა (74პ), 3:1 პუნტასი (75)

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**აზია** IV ჯგუფი. II ტური

ბაჰრეინი 1:0 ყირგიზეთი

1:0 ალ საიდი (86)

ქუვეითი 1:1 სინგაპური

1:0 აბდულა (61), 1:1 ალამ შაჰი (86)



☎ (231) 7 17 58 **იყიდება**

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

**ქუთაისში** ირაკლი აბაშიძის გამზირი, 18. კინოთეატრ "სულიკოსთან"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი კალაძე და ძველი ნაცნობები

## დანდიმ მაჩანჩალები დააძლო

ჩვენს ცხრილს ერთი მნიშვნელოვანი ციფრი დაემატა: იტალია. სერია A. „მილანი“. კახა კალაძე. გრაფაში „თამაში“ — ერთიანი.

მსუყე ერთიანი კი გამოვიდა. მწვრთნელმა დანაპირები შეასრულა და ქართველის დებიუტი ლეგენდარულ კლუბში შედგა.

კვირას „მილანმა“ ბრაზილიელი ლეონარდოს გოლით მოუგო „რეჯინას“. 3-4-3 — ასეთი ტაქტიკური განლაგება აირჩია ალბერტო ძაკერონიმ. სამი მცველიდან ერთი, ცენტრალური, კალაძე იყო. მარცხენა ფრთას პაოლო მალდინი უვლიდა, მარჯვენას როკე ჟუნიორი.

ჯიგრიანად ითამაშაო და, თანაგუნდელები თუ იტალიური მედია ქართველისთვის აღმატებულ ეპითეტებს არ იშურებენ: „სიმტკიცე გამოავლინა, ტექნიკაც არ დაეწუნება და ვგონებ, ფიზიკურადაც კარგადაა მომზადებული. უკვე შემიძლია განვაცხადო, რომ კალაძე ჩინებული ფეხბურთელია“ — შავ-წითელთა მწვრთნელ ძაკერონის ეს სიტყვები „გაძეტა დელო სპორტის“ თავფურცელზე დაიბეჭდა.

„ადრეც ვამბობდი, კალაძის პირველივე თამაში ეფექტური გამოვა-მეთქი. ასეც მოხდა“ — უთხრა ანდრეი შევჩენკომ „ტუტოსპორტს“.

„მან დაამტკიცა, რომ დიდებული ფეხბურთელია. „სან სიროზე“ პირველად თამაში იოლი სულაც არ არის. კახა კი შეუბოჭავად, ლაღად ირჯებოდა“ — დასძინა ორშაბათის ვარჯიშის შემდეგ დემეტრიო ალბერტინიმ.

„რაისპორტმა“ მოთამაშეები ტრადიციულად შეაფასა და მალდინი-ლეონარდოსთან ერთად კალაძეს ყველაზე მაღალი ქულა დაუწერა: აბიატი (შეუფასებელია), როკე ჟუნიორი — 6, კალაძე — 6,5, მალდინი — 6,5, ჰელვეგი — 5 (ბა — 5,5), ამბროზინი — 6, ჯუნტი — 6, სერჟინიო — 5,5 (კოკო — 6), ლეონარდო — 6,5, შევჩენკო — 5,5, ბირჰოფი — 5,5 (კომანდინი (შეუფასებელია).

კალაძე რომ თავდაჯერებულია მისი მატჩისშემდგომი კომენტარიდანაც კარგად ჩანს: „სან სიროზე“ თამაშს არ დავუთრგუნივარ, რადგან კიევის „დინამოში“ თამაშისას ჩემპიონთა ლიგაში ევროპის უდიდესი სტადიონები შემოვიარე. ვერც დაცვის ცენტრში თამაშმა დამაფრთხო, ხოლო იტალიურის არცოდნას საყოველთაო საფეხბურთო ენა მივსებდა.“

„ტუტოსპორტისვე“ ცნობით, კახა მილანში სახლს ირჩევს და ჯერჯერობით სასტუმროში ყოფნითაც კმაყოფილია. შევჩენკო მას ყოველ დილით აკითხავს, მანქანის საჭესთანაც ის ზის, რადგან ქართველი ქალაქს არ იცნობს და მარტო სიარულს ერიდება.

დღეს „მილანი“ იტალიის თასის საპასუხო ნახევარფინალში „ფიორენტინას“ ხვდება. ალბერტინის თქმით, „რეჯინასთან“ გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა გუნდი ჩინებულ განწყობაზეა და ფლორენციაშიც გასამარჯვებლად ჩავა. პირველი მატჩი მილანში 2:2 დამთავრდა.

ახლა უკვე ძველი ნაცნობების, ბუნდესლიგელების ამბავიც ვთქვათ. შაბათს ქართველთა გუნდები ერთმანეთს დაეჯახნენ. მასპინძელი „კიოლნი“ იყო, სტუმარი „ფრაიბურგი“. ოღრო-ჩოღრო მინდორზე გახურებული ბურთაობის ბედი დამთავრებამდე სამი წუთით ადრე კობიაშვილის პენალტმა გადაწყვიტა. დორნის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო ლევანმა მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგორა.

მინდორზე თავიდანვე იყო ალექსანდრე იაშვილიც, ლევან ცქიტიშვილი და არჩილ არველაძე კი მწვრთნელებმა მოგვიანებით შეიყვანეს მინდორზე. ლევანი მეორე ტაიმის დასაწყისში, ხოლო აჩიკო დამთავრებამდე თვრამეტი წუთით ადრე.

ფოლკერ ფინკე კმაყოფილებას ვერ მალავდა, ან რატომ უნდა დაემალა. მის „ფრაიბურგს“ რვა თამაშია აღარ წაუგია, ცხრილში მეშვიდე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ მეოთხე ადგილს, ამ შემთხვევაში „დორტმუნდს“, მხოლოდ ექვსი ქულით ჩამორჩება. ცხადია, ფინკე ლიგაზე არ ოცნებობს, მაგრამ სეზონის დასაწყისში ლამის გასავარდნად შერაცხული გუნდისგან ესეც სოლიდური შედეგია.

ჰოლანდიაში „თავისი“ შეაგდო შოთა არველაძემ. „გრააფსხაპთან“ სტუმრობისას მწვრთნელმა კო ადრიანსემ არველაძე და ბერძენი მახლასი თავიდანვე ერთად ათამაშა. საერთოდ, ის ამათგან ერთს ირჩევს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ორივეს ენდო და გაუმართლდა კიდეც. პირველად მასპინძელმა ვისკაალმა გაიტანა, მაგრამ სანამ ტაიმი დამთავრდებოდა ჯერ შოთამ გაათანაბრა, მერე მახლასმა სტუმრები დააწინაურა. შესვენების შემდეგ ვან დერ ვაარტის მესამეს სოლიდურობის დამამტკიცებელი უფრო ეთქმოდა.

აი, ჩვენს ბრიტანელებს კი საქმე მთლად კარგად ვერ მიუდით. ქინქლაძე კვლავაც ტრავმას იშუშებს, ალექსიძე ისევ სარეზერვო გუნდშია, ქეცბაიას „ვულვზში“ დარჩენა-არდარჩენის ამბავიც გაურკვეველია. ახლა ამათ გიორგი ნემსაძის პრობლემა, უფრო ზუსტად, მისი „დანდის“ პრობლემაც დაერთო. ნააახალწლევს მათ თავისი ქომაგები ველარ ცნობენ და აბა, ჩვენ რა გაგვემტყუნება. ბოლო ორ ტურში „დანდიმ“ მაჩანჩალები გამოაძლო. ჯერ სულ ბოლო — „დანდი იუნაიტედთან“ წააგო, მერე ბოლოსწინა „სენტ მირენთან“. გავარდებაო ნემსაძე — კანიჯას გუნდზე აბა, ვინ იტყვის, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა მწვრთნელ ივანო ბონეტის რომ ქუდის დახურვა მოუწევს, ნაღდია.

ისრაელში კობა წიტაიშვილის „ირონიმ“ ნეთანიას „მაკაბისთან“ წააგო, ნეთანიელები მთელი მატჩის მანძილზე ბევრს უტევდნენ, მაგრამ გატანა მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. მეორე ტაიმის დასაწყისში იშტვან ჰამარის დარტყმა ზუსტი გამოდგა. ირონელები ბოლოსლა გამოფხიზლდნენ და რამდენჯერმე მწვაველდაც შეუტიეს, მაგრამ გასათანაბრებლად აღარც დრო და აღარც ენერგია ეყოთ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | კიოლნი 1:0 | 90 | | 17 | 4 | 7 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | კიოლნი 1:0 | 90 | გოლი პენალტით | 17 | 5 | 7 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | კიოლნი 1:0 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 0 | 7 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | კიოლნი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ფრაიბურგი 0:1 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 4 | 8 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ სავაია | როიტლინგენი | ს | ზანქტ პაული | | გადაიდო | 3 | 0 | 5 |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ოსნაბურკი 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 8 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ჩარლტონი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 1 | 17 |
| | დერბი | შ | სანდერლენდი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ნიუკასლი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 6 |
| | ჩელსი | ს | ლესტერი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 8 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | ჯილინგემი 1:1 | 0 | სათადარიგო | 13 | 3 | 13 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | შ | დანდი იუნ. 2:3 | 90 | | 22 | 1 | 7 |
| | დანდი | ს | სენტ მირენი 1:2 | 90 | | 23 | 1 | 9 |
| **იტალია** | | | | | | | | |
| სერია A | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | შ | რეჯინა 1:0 | 90 | | 1 | 0 | 5 |
| **ესპანეთი** | | | | | | | | |
| პრიმერადივიზიონი | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | სოსიედადი | შ | სელტა 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 18 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | გრააფსხაპი 3:1 | 90 | 1 გოლი | 12 | 6 | 4 |
| | აიაქსი | ს | გრონინგენი | | გადაიდო | 12 | 6 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | გრონინგენი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| | პსვ ეინდჰოვენი | ს | სპარტა 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ბევერენი 1:2 | 90 | | 17 | 1 | 9 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | მუსკრონი 1:0 | 0 | | 2 | 1 | 14 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა წიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | მაკ. ნეთანია 0:1 | 90 | | 18 | 10 | 9 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | ს | პაოკ 3:2 | 0 | | 9 | 0 | 13 |
| თასის მერვედფინალი | | | | | | | | |
| ლევან ქებაძე | იანინა | შ | ირაკლისი 1:2 | 0 | | 0 | 0 | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*



კიოლნი — ფრაიბურგი. ალექსანდრე იაშვილმა (მარცხნივ) და ლევან კობიაშვილმა კიოლნიდან სამი ქულა წაიღეს

## იტალიური პრესა კალაძეზე

*„გაძეტა დელო სპორტი“: სიახლე „მილანის“ დაცვაში“. კალაძემ იტალიური არ იცის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შევჩენკო მოედნის მეორე ნახევარზე იყო და ვერ უთარგმნდა, მაინც კარგად ითამაშა.*

*„ტუტოსპორტი“: „სან სირომ“ კალაძე აღმოაჩინა“. ქართველმა მალდინისა და როკე ჟუნიორის გვერდით, დაცვის ცენტრში ითამაშა. მან საკუთარ თავში დარწმუნებული კაცის შთაბეჭდილება დატოვა.*

# მეზობლური

## ცხადაძემ ფეხბურთი პირველად ითამაშა

თბილისი „დინამოს" კალათბურთელთა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე, შეკრებაზეა ოთარ გაბელიას „მერანი". ავჭალელთა გუნდი იქვე, ერთ-ერთ მინდორზე ვარჯიშობს, მეორეზე კი რევაზ არველაძის „დინამო". ჰოდა, გუშინ მეზობლებმა საკონტროლო მატჩი გამართეს. თამაშს არა უშავდა ურიგო ბრძოლა არ ყოფილა. პირველ ტაიმში მასპინძლები დომინირებდნენ, სტუმრები ოდენ კონტრშეტევებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. შეხვედრის ერთადერთი გოლიც შესვენებამდე გავიდა — გიორგი მიქაძე მერანელთა საჯარიმოში წააქციეს და დავით დათვაძემ 11-მეტრიანით ერთადერთი, გამარჯვების გოლიც გაიტანა. მეორე 45 წუთში თამაში გათანაბრდა, თუმც „მერანმა" „დინამოს" ვერაფერი დააკლო. მატჩის ღირსშესანიშნავი ამბავი კი ეს იყო — ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კახა ცხადაძე პირველად გავიდა მინდორზე ფეხბურთის სათამაშოდ. ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯერ კიდევ წინა სეზონში მივიდა „დინამოში", მაგრამ ძირითადად ტრენაჟორებზე ვარჯიშით იყო დაკავებული. მისი სრული გამოჯამრთელება ვერც მეთორმეტე ეროვნულის საშემოდგომო ეტაპზე მოხდა. ცხადაძე გერმანიაშიც გახლდათ მტკივანი მარცხენა მუხლის სამკურნალოდ. როგორც „დინამოსა" და ეროვნული გუნდის ექიმმა დიმიტრი ზაალიშვილმა გვითხრა, ცხადაძეს ტკივილი ბოლო დროსაც აწუხებდა, მაგრამ მკურნალობის შემდეგ საქმე უკეთესობისკენაა. მას მარცხენა მუხლი რამდენჯერმე დაუშავდა, რამდენჯერმე იმკურნალა და ოპერაციაც გაიკეთა, რის გამოც კორექცია და პატარ-პატარა შეშუპებები კვლავ აღენიშნება. რაც შეეხება იმას, დაეხმარება თუ არა კახა ცხადაძე თბილისის „დინამოს" მეთორმეტე ეროვნულში, ჯერ გაურკვეველია.



კახა ცხადაძე

მერანულ ამბებზეც ვთქვათ. გუნდში კიდევ ერთი ახალწვეულია — „ლოკომოტივიდან" გადმოსული მცველი როინ ონიანი. მტკივან მუხლმოშუშებული იმედი „მერანსაც" ჰყავს მიხეილ ფოცხვერიას სახით. მიშა ახლა ლუგანსკშია და უკვე დაუწყია უბურთოდ ვარჯიში. ის „მერანს" უცხოურ შეკრებაზე შეუერთდება. თუ რომელ ქვეყანაში გაემგზავრება ოთარ გაბელიას გუნდი, დღე-დღეზე გაცხადდება.

**დავით თავართქილაძე**

# ბევრი ნული, ბევრიც გასარკვევი

საშუალესეზონო მზადებას აგრძელებს ბოლნისური „სიონი". ქვემოქართლელებმა ოთხი დღის მანძილში სამი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს და სამჯერვე უგოლოდ დაშორდნენ მეტოქეებს.

შაბათს „სიონმა" „ისანზე" (14 თებერვლამდე ქვემოქართლელები ამ სტადიონზე მოემზადებიან) „გორდას" უმასპინძლა. მოსაწყენი ბურთაობა 0:0 დასრულდა. კვირას სპარტაკ არჩვაძის შეგირდებმა „იბერია შევარდენს" უმასპინძლეს. ეს გუნდები „ისანზე" გუშინაც შეხვდნენ ერთმანეთს და ისევ — 0:0.

— „თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ვინაიდან ჯერაც მოსამზადებელ ეტაპს გავდივართ, კონკრეტული დასკვნა ნაადრევია. ნელ-ნელა გუნდი დალაგდება და სათამაშო კონდიციებიც მოიმატებს" — გვითხრა გუშინდელი მატჩის შემდეგ სპარტაკ არჩვაძემ.

უგოლო თამაშებიდან [illegible] სასიხარულოდ [illegible] ჩება, რომ „სიონს" მეათე ახალწვეული ჰყავს. ეს ფეხბურთელი უკვე ექსმერანელი კახა კობესაშვილი გახლავთ. ამპლუით ნახევარმცველი კობესაშვილი უკვე მესამე დღეა, ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და, სავარაუდოდ, ჩემპიონატის განახლებასაც ბოლნისურ გუნდში შეხვდება.

მოკლედ, ბოლნისელებმა ათ ახალწვეულს კი მოუყარეს თავი, მაგრამ შესაძლოა ზოგი მათგანი გუნდში არც დარჩეს. წამსვლელ-დამრჩენთა ბედი ხვალ გადაწყდება. დიღმის ბაზაზე „სიონი" „დინამო 2"-ს ეთამაშება. ამ მატჩს ბოლნისის გამგებელი ზურაბ ჯაფარიძეც დაესწრება და გასარკვევიც მაშინ გაირკვევა.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ნორჩა მეოთხედფინალში მორჩა

„ნორჩას ზამთრის ტურნირს" თბილისური „ვიტ ჯორჯია" მეოთხედფინალში დაემშვიდობა. ორი მოგება და ორიც წაგება, ასეთა ჩვენებურთა მონაგარი. იტალიური შეკრება კი გრძელდება და ვიტელებმა მორიგი საკონტროლო მატჩი გუშინ ითამაშეს. მეტოქედ პოლონური „პოლონია" ჰყავდათ.

თემურ მახარაძემ ერთბაშად რვა ფეხბურთელი — არსოშვილი, კობიაშვილი, დიღმელაშვილი, გოგობერიშვილი, გოჩაშვილი, ქორიძე, მელქაძე და მცირე ტრავმიანი ყიფიანი დაასვენა.

ვარშაველებმა პირველ ტაიმში ორი გოლი, ორივე თერთმეტმეტრიანიდან გაიტანეს და შესვენებაზეც ორბურთიანი უპირატესობით წავიდნენ. მეორე ტაიმში მსაჯმა ვიტელები სულაც კაცნაკლული დატოვა, დოლიძე გააძევა.

თითქოს მატჩის ბედიც მაშინ გადაწყდა, მაგრამ იძალეს ახალგაზრდა ვიტელებმა, პოლონელები საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და მატჩიც წაუგებლად ჩაამთავრეს. ჯერ წუწუნავამ ლამაზი გოლით შეამცირა სხვაობა, ხოლო გვაზავას ჯარიმიდან დარტყმულს და მეკარის მოგერიებულ ბურთს პირველმა გოცირიძემ მიუსწრო და გაათანაბრა. გატანა იმავ გოცირიძეს და ნოზაძესაც შესძლებიათ, მაგრამ...

„ვიტ ჯორჯიამ" „პოლონიასთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მერლანი, საჯაია (გოცირიძე), ჭანკოტაძე, ინწკირველი, მუჯირი, ადამია (ფეიქრიშვილი), გვაზავა, დოლიძე, ხაჭაპურიძე (ნოზაძე), წუწუნავა, სულთანიშვილი.

**დათო დანელია**

# მერანი უფრო ხისტი და აგრესიული გახდება

თბილისის „დინამოში" დავით ყიფიანის მთავარმწვრთნელობისას გამოჩნდა გიორგი დავითნიძე, მაგრამ გუნდში ვერ მოიკიდა ფეხი და „მერანში" გადავიდა. სწორედ იქ წარმოაჩინა მან თავისი ძლიერი მხარეები, ხისტი და აგრესიული ბრძოლის უნარი, მაგრამ მერე უკრაინაში წასვლა ამჯობინა. შემდეგ ფოთის „კოლხეთისა" და ელისტის „ურალანის" ღირსებასაც იცავდა. შარშანდელი სეზონის მიწურულს კი თვით ბუნდესლიგის „მიუნხენ 1860"-ში ამოყო თავი, მაგრამ ახალი წლის წინა დღეებში სამშობლოში დაბრუნდა.

ახლახან გიორგი დავითნიძე სლოვაკეთში, ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბრატისლავის „სლოვანში" გახლდათ. სლოვაკებს მოსწონებიათ ჩვენებური და ორწლიანი კონტრაქტი შეუთავაზებიათ. „ეს ვარიანტი ხელს არ მაძლევდა, თანაც „სლოვანში" საკმაოდ დაბალი ანაზღაურებაა, ორი წლით იქ ვერ დავრჩებოდი, რადგან მომავალი სეზონიდან „მიუნხენ 1860"-ის მეორე გუნდში უნდა ვითამაშო. მანამდე კი ექვსი თვით საქართველოში ვიბურთავებ" — გვითხრა გუშინ დავითნიძემ.

ერთი სიტყვით, ახლობლებისთვის „ჯორჯოდ" წოდებული გიორგი დავითნიძე ეროვნული ჩემპიონატის საგაზაფხულო ეტაპს „მერანში" გაატარებს.

**დავით თავართქილაძე**

# საშუალესეზონო მიდი-მოდი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| **ლოკომოტივი**<br>*გივი ნოდია* | ლევან სილაგაძე, თოდუა (ტორპედო), რუსია (ცსკა, უკრაინა), აბრამიძე (სკონტო, ლატვია), ხიზანიშვილი (ვესტ ჰემი, ინგლისი), გონჩაროვი, პარამონოვი (ტრანსფერზე არიან), დავითაშვილი (?), რ. ონიანი (მერანი) | ბაქრაძე (მეტალურგი), ზ. ლაცაბიძე (პუტნიკი, პოლონეთი), ანჩაბაძე (დინამო), კაიდარაშვილი (კრივბასი, უკრაინა), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), გ. კვეტენაძე (მერანი), გ. ზოიძე (ლოკომოტივი 3), მანჭარაული (თბილისი), შედანია (ზოოვეტი), კვერნაძე (ინტერი); გივი ნოდია (მთავარი მწვრთნელი) | გორდა 0:0, დილა 1:2 |
| **ტორპედო**<br>*დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი* | ჭანტურია (ბათუმი), ჩხაიძე (მერანი), შალამბერიძე (კოლხეთი), თურმანიძე, შეყრილაძე, ვაჩიბერაძე, მეგრელაძე, ახვლედიანი, ჩხეტიანი (?) | დიდავა (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), აშვეთია (ალანია, რუსეთი), ლევან სილაგაძე, თოდუა (ლოკომოტივი), ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე, (დინამო), ახალკაცი (კოლხეთი), გვირჯიშვილი (ცხინვალი), ბაბუნაშვილი (სამგურალი); რევაზ ძოძუაშვილი (ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი) | კოლხეთი 0:0, ჟაშტიკ აკ ალტინი (ყირგიზეთი) 3:0, შამქირი (აზერბაიჯანი) 2:1, დუსტლიკი (უზბეკეთი) 3:0 |
| **დინამო**<br>*რევაზ არველაძე* | ქემოკლიძე, პ. ჯინჭარაძე (ტორპედო), სახვაძე (რიდი, ავსტრია), ანჩაბაძე (ლოკომოტივი), გადელია (?, რუსეთი), სიჭინავა, ი. ვაშაკიძე (?) | იაგორაშვილი (პროიზერ კიოლნი, გერმანია), ჩივაძე, მიკუჩაძე, მანწკავა, ქარდავა (დინამო 2) | დილა 4:0, გორდა 4:3, სიონი 2:1, მერანი 1:0 |
| **ვიტ ჯორჯია**<br>*თემურ მახარაძე* | *დეკანოსიძე (ფიურტი, გერმანია)*, სტურუა (თსუ), თაყაძე (დილა) | გოგობერიშვილი (ანჟი, რუსეთი), არსოშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (თსუ), ფეიქრიშვილი (ვალენსია) | სიონი 2:1, თსუ 2:0, არაუ (შვეიცარია) 15:1, ასკოლი (იტალია) 6:0, სტიაუა (რუმინეთი) 0:1, ლიტექსი (ბულგარეთი) 0:1, პოლონია (პოლონეთი) 2:2 |
| **კოლხეთი**<br>*სოსო ფილია* | ახალკაცი (ტორპედო), მალლაკელიძე (მერანი), ფრანგიშვილი (სამგურალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (დილა), კედელაშვილი (გორდა), დავითნიძე (მერანი), თედეევი (კოლხეთი2), ხუჭუა (?, რუსეთი) | ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), ნივნივაძე (სიონი), მუმლაძე (იბერია შევარდენი), ვართაგავა (ხობი), შალამბერიძე (ტორპედო), ნარსია, აკობია, პ. ბაჩილავა, ყურაშვილი (კოლხეთი2) | ტორპედო 0:0, ბათუმი 4:1, 0:2, 0:1, თსუ 1:0, 1:0, დინამო (სტავროპოლი, რუსეთი) 2:2 |
| **მერანი**<br>*ოთარ გაბელია* | პოდლესნი (ზარია, უკრაინა), გ. კვეტენაძე (ლოკომოტივი), კობესაშვილი (სიონი) | მალლაკელიძე (კოლხეთი), ჩხაიძე (ტორპედო), ხუციშვილი (არ თამაშობდა), ზ. კვეკვესკირი (მუხურა); ოთარ გაბელია (მთავარი მწვრთნელი), რ. ონიანი (ლოკომოტივი) | დინამო 0:1 |
| **ბათუმი**<br>*ასლან ბალაძე* | ბედიაშვილი, სოხაძე (გორდა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), სიდამონიძე, თარგამაძე, ბ. შენგელია (სიონი), ბარქაია, გაბისონია (ტრანსფერზე არიან), ჩოხელი (ანჟი, რუსეთი), სიხარულიძე, ქერაშვილი (?) | ჭანტურია (ტორპედო), ი. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში (არ თამაშობდნენ), ი. შენგელია (სპარტაკი, მოსკოვი, რუსეთი) | კოლხეთი 1:4, 2:0, 1:0, თსუ 3:1 |
| **სიონი**<br>*სპარტაკ არჩვაძე* | ნივნივაძე (კოლხეთი), გამცემლიძე, პეტრიაშვილი, დიმიტრიშვილი, მ. გოგოლაძე (?) | თარგამაძე, ბ. შენგელია, სიდამონიძე (ბათუმი), ტარიელაშვილი (თორი), მოსულიშვილი, ძაბირაძე (არ თამაშობდნენ), კ. მელქაძე (მილანი), ყოლბაია (ზუგდიდი), გუგუნავა (თსუ), კობესაშვილი (მერანი) | ვიტ ჯორჯია 1:2, დინამო 1:2, გორდა 0:0, იბერია შევარდენი 0:0, 0:0 |
| **გორდა**<br>*გია გეგუჩაძე* | იასონ ალადაშვილი (მთავარი მწვრთნელი) | ბედიაშვილი, სოხაძე (ბათუმი), კედელაშვილი (კოლხეთი), ა. გელაძე, თ. მეტრეველი (არ თამაშობდნენ); გია გეგუჩაძე (მთავარი მწვრთნელი) | დინამო 3:4, მილანი 3:2, ლოკომოტივი 0:0, სიონი 0:0 |
| **დილა**<br>*ვაჟა ხაჩირაშვილი* | მდივანი (ივერია), ციცქიშვილი (ცხინვალი), გ. ტულუში (თამაში მიატოვა) | რ. ხაჭაპურიძე (ცხინვალი), გ. ჩიტაია, ბ. ჩიტაია (კოლხეთი), თაყაძე (ვიტ ჯორჯია) | დინამო 0:4, ლოკომოტივი 2:1 |
| **თსუ**<br>*მერაბ კოჭლაშვილი* | გოცირიძე, წუწუნავა, ადამია (ვიტ ჯორჯია), გუგუნავა (სიონი), ა. ბოკერია, ერაძე, კ. ვადაჭკორია (?) | სტურუა (ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ჭილლაძე, ელყანიშვილი, დათუნაიშვილი, დ. სულავა, ბეროშვილი, ე. მერებაშვილი, შოშიაშვილი, ჯობავა, ა. ლობჟანიძე (ვიტ ჯორჯია 2) | ვიტ ჯორჯია 2 2:0, ვიტ ჯორჯია 0:2, კოლხეთი 0:1, 0:1 ბათუმი 3:1, კოლხეთი 2 1:1 |
| **იბერია შევარდენი**<br>*ნოდარ აკობია* | *ს. გოგიაძე (ტავრია, უკრაინა)*, ბინაძე, ოდიკაძე, ლ. ხმალაძე (სპარტაკი, სუმი, უკრაინა), მუმლაძე (კოლხეთი), ვარდანიძე, ჩომახიძე, გ. ნოზაძე (?) | ნოდარ აკობია (მთავარი მწვრთნელი) | შევარდენი 3:2, ცხრამეტწლამდელები 1:2, სიონი 0:0, 0:0 |

**შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიჭი, რომელიც ჩემზე მეტს შეძლებს



რაული დი სტეფანოსთან გატოლებას ცდილობს

**ᲙᲕᲘᲠᲐᲡ** ესპანეთის ჩემპიონატში „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რეალელთა სათაყვანებელმა ფეხბურთელმა რაულმა ორი გოლი გაუტანა „მალაგას“. „სამეფო კლუბმა“ კი მატჩი 4:3 მოიგო და პრიმერადივიზიონსაც მყარად უდგას სათავეში. ის ორი გოლი რაულის კარიერაში გამორჩეული გამოდგა. მადრიდელი „ოქროს ბიჭუნა“ რეკორდსმენია — პრიმერადივიზიონში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელთა შორის ყველაზე მეტი, 113 გოლი გაიტანა.

„მალაგასთან“ შეხვედრამდე იგი ერთი ბურთით ჩამორჩებოდა „ოსასუნას“ ფორვარდ კუკო სიგანდას. მას დღემდე 112 საჩემპიონატო გოლი შეეგდო, ახლა კი რაულმა აჯობა.

„ჩემთვის დიდი პატივია რომ ამდენი კარგი მოთამაშის სიას სათავეში ჩავუდექი. ჯერ კიდევ ბევრი წელი დამრჩენია, ეს კი იმედს მიტოვებს, რომ არაერთ გოლს გავიტან და „რეალის“ ქომაგებს კვლავაც გავახარებ“ — განაცხადა 23 წლის რაულმა.

უკეთეს შედეგში ის იგულისხმება, რომ რაულმა წარსულის მოთამაშეებსაც უნდა აჯობოს. ყველა დროის ესპანური რეკორდი ხუან სარას ეკუთვნის, ნაკრებისა და ბილბაოს „ატლეტიკის“ თავდამსხმელს, რომელიც 40-50-იან წლებში თამაშობდა და კარიერის მანძილზე 251 გოლი გაიტანა.

თავად „რეალის“ რეკორდამდე კი რაულს თითქმის იმდენი აშორებს, რაც აქამდე გაუტანია. „სამეფო კლუბის“ საუკეთესო მეგოლე ალფრედო დი სტეფანოა, 50-იანი წლების გმირი და თავად „რეალის“ სიმბოლო, ამჟამად „რეალის“ საპატიო პრეზიდენტი — 216 გოლის გამტანი.

რაულის წარმატებამ მადრიდელთა სპორტული დირექტორი ხორხე ვალდანო გაახარა, ხსენებული რეკორდის დამყარების შემდეგ მან თქვა: „ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. ცუდი დღეც რომ ჰქონდეს, შეუძლია, საჭირო გოლი გაიტანოს და გუნდს მოაგებინოს. ასეთი რამ ცოტას თუ ძალუძს. მრავალი სათამაშო წელი დარჩენია, ეს მაფიქრებინებს, რომ რაღაც გასაოცარს მიაღწევს“.

აქვე შედარებისთვის ისიც ვთქვათ, რომ ყოფილმა ბომბარდირმა სიგანდამ 14 სეზონი მოახმარა იმას, რაც რაულმა ექვსწელიწადნახევარში შეძლო, ანუ ოსასუნელმა 112 გოლი დაახლოებით ორჯერ მეტ დროში გაიტანა, ასეთი ტემპით რაულს ჩინებული შანსი აქვს, დაეწიოს და გადაასწროს ესპანეთში ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს, 251 გოლის გამტან სარას.

**ნიკა ჩუბლაძე**





გეორგე ჰაჯიმ (მარცხნივ) „გალათასარაიში“ ორი ევროთასი მოიგო, მარიო ჟარდელმა — მხოლოდ სუპერთასი, თუმცა ოქრო ორივეს შეხვდა

# თასები ოქროდ დაფასდა

**ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ** „გალათასარაი“ თითქმის მთელი შემადგენლობით თურქეთის სამთავრობო რეზიდენციას ეწვია. სახელმწიფო მოხელეებმა დააფასეს სტამბოლური კლუბის შარშანდელი მიღწევები — უეფასა და ევროპის სუპერთასების მოგება. ქვეყნის სპორტის მინისტრმა ფითრეთ უნლუმ მადლობა გადაუხადა გუნდის ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს იმისთვის, რომ მათ თურქეთს პირველი ევროთასი მოუტანეს და 2795 ცალი თურქული ოქროს მონეტა დაურიგა. თითოეულის ღირებულება 60 დოლარია.

იმ ფეხბურთელებს, რომლებმაც უეფას თასის ფინალში ლონდონის „არსენალთანაც“ და ევროპის სუპერთასზე მადრიდის „რეალთანაც“ ითამაშეს 130 ოქროს მონეტა ერგოთ. დაჯილდოების ცერემონიალს არ დასწრებია სტამბოლელთა მაშინდელი და ამჟამად ფლორენციის „ფიორენტინას“ თავკაცი ფათიჰ თერიმი, თუმცა, ცხადია, კუთვნილი მაინც მიიღო — 200 ცალი მონეტა.

სპორტის მინისტრმა „გალათასარაის“ მოთამაშეები დიდად აქო, უთხრა, ამ გამარჯვებით სრულიად თურქეთი ასახელეთო. მერე კი შეახსენა, წლეულს ჩემპიონთა ლიგაში თამაშობთ და ამ თასსაც თუ მოიგებთ, პრიზები და ჯილდოები მერე ნახეთო. აქვე ვთქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი თებერვლის შუა რიცხვებში განახლდება. 14 თებერვალს სტამბოლელები ესპანეთის ჩემპიონს, ლა კორუნიის „დეპორტივოს“ უმასპინძლებენ.

# მაფია უკვდავია

## ერიკ კანტონას გამხელილი საიდუმლო



ერიკ კანტონა

**ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ** შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა თასის ალბათ ყველაზე უცნაურ ფინალში მიუნხენის „ბაიერნს“ დაამარცხებს. მაშინ კი მანჩესტერელთა ოცნება ლიგის ნახევარფინალში დაასამარა მომავალმა ჩემპიონმა დორტმუნდის „ბორუსიამ“...

და აი, დორტმუნდელებთან საპასუხო თამაშის მეორე დღეს ერიკ კანტონა ალექს ფერგიუსონთან შეხვედრას ითხოვს. შოტლანდიელი თითქოს წინასწარ ხვდება, რაზეც იქნება საუბარი...

„რატომ გადაწყვიტე 30 წლისამ ფეხბურთის თამაშს თავი დაანებო? — ეკითხება მწვრთნელი. კანტონას პასუხი ბუნდოვანია. ამბობს, რომ ფეხბურთისთვის რისი გაღებაც შეეძლო, ყველაფერი გაიღო და ახლა ცხოვრების ნირის შეცვლას აპირებს. ფერგიუსონი თხოვს, რომ კიდევ დაფიქრდეს.

მწვრთნელსა და ვარსკვლავს შორის მეორე შეხვედრა რამდენიმე კვირაში შედგა. ფერგიუსონს უკვე აღარაფერი უთხოვია, რადგან საუბრის დაწყებამდე მიხვდა, რომ კანტონას არ გადაუფიქრებია.

„მიზეზი ორია. ერთი ის, რომ ბოლო დროს კლუბის მექანიზმში თავს ჭანჭიკად ვგრძნობ, მეორე კი ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“მოთამაშეებს დიდ ხელფასებს არ უხდის — თქვა კანტონამ და წავიდა.

გავიდა ორი წელი, „მანჩესტერი“ ევროპის უძლიერესი კლუბი გახდა, ხოლო ალექს ფერგიუსონს ინგლისის დედოფალმა რაინდის წოდება უბოძა. კიდევ ერთი წელიც და მანჩესტერელებმა ერიკ კანტონა საუკუნის მანჩესტერელად აღიარეს, მავანთ ისიც უთქვამთ, სერ ალექსის ღირსეული შემცვლელი ოდენ კანტონა თუ იქნებაო...

და კიდევ ერთი წლის შემდეგ, 2001-ის თებერვალში, ერიკ კანტონამ თქვა ის, რაზეც ოთხი წლით ადრე, მწვრთნელთან შეხვედრისას, კრინტი არ დაუძრავს: „ფეხბურთიდან წასვლა მაფიამ მაიძულა“.

ერიკ კანტონას არაფერი დაუკონკრეტებია, თამაშის ჩვეული ხედვა, მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა და მეც გული ავიყარეო, თუმცა კანტონამ ახსენა მაფია, სიტყვა, რომელსაც ჩურჩულით ამბობენ და რომლის თქმაც უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს.

ეგებ დღეს უფრო გასაგები იყოს დიდი ფრანგის ოთხი წლის წინანდელი სიტყვები, ჭანჭიკებსა და ფულზე. მაფია ხომ დიდი ფულის მოხვეჭას ნიშნავს, რომლისთვისაც ადამიანი, ამ შემთხვევაში კი ფეხბურთელი მეორეხარისხოვანია. და კიდევ, მაფია ფულის უკანონოდ მოხვეჭას ნიშნავს.

საფეხბურთო მაფია — კაცს უპირველესად ჩაწყობილი თამაშები გახსენდება, თუმცა დასკვნების გამოტანას მაინცდამაინც ნუ ვიჩქარებთ, ერიკ კანტონას ხომ ბევრიც არაფერი უთქვამს, უბრალოდ, მაფია ახსენა.

# გაშვებულმა გატანა იცის





მარკ ოვერმარსი და იარი ლიტმანენი

**ᲘᲐᲠᲘ ᲚᲘᲢᲛᲐᲜᲔᲜᲛᲐ** ახალი წლისთვის კატალონიური კარიერა დაასრულა და ახლა „ლივერპულში“ ირჯება. გასაკვირი არაფერია. იგი 1999 წელს ვან გაალმა „ბარსაში“ მიიწვია და ფინელმაც მთელი სეზონი გუნდის ყველაზე მაღალხელფასიანი ლეგიონერის სტატუსით სათადარიგოთა შორის გაატარა. წლეულს ლორენს სერა ფერერმა, მუქთა კაცი გუნდში აღარ მჭირდებაო და ლიტმანენმაც ინგლისს მიაშურა. ამ ფაქტს არავინ აღუშფოთებია, ოდენ მარკ ოვერმარსს დასწყვიტა გული. გულმავიწყ ჰოლანდიელს საკმაოდ გვიან გახსენებია თავისი აიაქსელი პარტნიორი და გაოცებაც ვერ დაუმალავს: „საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი, როცა გავიგე, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ლიტმანენთან განშორებას აპირებდა, ანდა როგორ შეიძლება გუნდში ამ დონის ფეხბურთელი გყავდეს და არ ათამაშო“.

იქნებ მართალიცაა, მაგრამ რაღა დროს? ოვერმარსი და ლიტმანენი საფეხბურთო სარბიელზე მხოლოდ მეტოქეთა სახითღა თუ შეხვდებიან ერთმანეთს. „ბარსას“ და „ლივერპულს“ გზები შესაძლოა წლეულსვე, უეფას თასის გათამაშებაში გადაიკვეთოს. ოვერმარსი თვლის, რომ დიდ პრობლემას შეუქმნის გუნდი, რომელშიც იარი ლიტმანენის დარი ოსტატი თამაშობს.

# კორინთიანსმა ლუქსემბურგო დააბრუნა

**ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐᲨᲘ** ეჭვმიტანილმა და ბრაზილიის ნაკრებიდან განდევნილმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ახალი სამსახური იშოვა. მას „კორინთიანსის“ თავკაცის პოსტი ჩააბარეს. სან პაულოს კლუბის ხელმძღვანელობამ სექტემბრის შემდეგ უმუშევარი სპეციალისტი მიიწვია, რადგან ეს სწორედ ის კაცია, რომელმაც 1998 წელს „კორინთიანსი“ ბრაზილიის ჩემპიონი გახადა. თუმცაღა, მწვრთნელთა ცვლა მარადიული თემა ყოფილა „კორინთიანსში“. წელიწადზე ნაკლებ ხანში კლუბმა უკვე ხუთი ხელმძღვანელი მოსინჯა. ბოლო ორი თვეა, გუნდს ურუგვაელი დარიო პერეირა ავარჯიშებდა. ამ უქმეებზე იგი მოხსნეს. მერე ხელმძღვანელობა შეიკრიბა და იმსჯელა, მორიგ მწვრთნელად ვინ მოეწვიათ. არჩევანი ლუქსემბურგოზე შეაჩერა და მიუხედავად იმისა, რომ სამ-ჯერ ნაკლები ხელფასი შესთავაზეს, ვიდრე მას კლუბში ადრე მუშაობის დროს ჰქონდა (ბრაზილიური მასმედია ასე იუწყება) ვანდერლეი მაინც დაითანხმეს.

ლუქსემბურგო ახლა თავისუფალია და კლუბის არჩევა საკუთარი ნებასურვილით შეუძლია, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა ყველაფერი თავდაყირა დადგეს. ბრაზილიური პროკურატურა ჯერაც აგრძელებს ქვეყნის საფეხბურთო წრეებში გამეფებული მექრთამეობის გამოძიებას. კვლავ იჩხრიკებიან ლუქსემბურგოს შემოსავლებსა და დეკლარაციებში და შესაბამის სამხილს ეძებენ. ისევ ვერ გაუგიათ, საიდან დაჯდა მის ანგარიშზე მსხვილი და საეჭვო წარმოშობის თანხები. ამის თაობაზე ეროვნული გუნდის მწვრთნელყოფილი კიდევ დაჰყავთ დაკითხვაზე. როგორც პროკურატურა იუწყება, გამოძიება ერთი წლის განმავლობაში დასრულდება და ყველაფერს მოეფინება ნათელი. თავად ვანდერლეიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ვერ გამიგია, რა უნდათ, გამოდის, ბევრი მტერი მყავს და მათ ჩემი განადგურება სურთ“.

**ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲠᲯᲐᲜᲘᲐ**

# ფერნანდო ვიოლას უკანასკნელი გასეირნება რომში

**ᲠᲝᲛᲘᲡ** „ლაციოს“ ქომაგებმა ამ დღეებში ერთი სამწუხარო ამბავი შეიტყვეს. ავტოკატასტროფაში დაიღუპა გუნდის ყოფილი მოთამაშე, 50 წლის ფერნანდო ვიოლა, რომელიც რომის ქუჩებში დიდი სისწრაფით მიქროდა და მანქანას შეეჯახა. იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. ვიოლა დედაქალაქური კლუბის ღირსებას 1976-დან 82 წლამდე იცავდა და „ლაციოს“ ქომაგებს გამორჩეულად უყვარდათ. „ლაციოს“ მაისურით მან სულ 121 საჩემპიონატო მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა...

# ჩაიბარე ბაიერნი

## შეუთვალეს სოლ კემპბელს და დიდძალი ფულიც შესთავაზეს



სოლ კემპბელი

**მიუნხენის „ბაიერნს"** სოლ კემპბელის გადაბირება მოუწადინებია. ინგლისის ნაკრების მცველს „ტოტენჰემთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. აბა, ვინ გაუშვებს ხელიდან კემპბელის დონის თავისუფალ აგენტს? ჰოდა, „ბაიერნმაც" თადარიგი დაიჭირა და მაცდური წინადადებით თაფლავს საკბილოს — 150 000 დოლარი კვირაში, ზედ კაპიტნის სამკლაური მართლაც დიდებული რამაა. ინიციატივა ფრანც ბეკენბაუერიდან მოდის, კაიზერი კი ტყუილუბრალოდ არაფერს ამბობს. თუმცა ული ჰოინესი, „ბაიერნის" გენერალური მენეჯერი უფრო თავშეკავებულია: „სოლი, რაღა თქმა უნდა, უნიჭიერესი ფეხბურთელია. ჩვენ მართლაც ვაპირებთ რამდენიმე მოთამაშის ყიდვას, მაგრამ ჯერჯერობით გვარებს არ ვასახელებ. გულშემატკივრებს სასიამოვნო სიურპრიზს მოვუმზადებთ". გულშემატკივრის რა მოგახსენოთ, მაგრამ თვით კემპბელისთვის ბოლო დროს უამბიციო „ტოტენჰემიდან" მრისხანე „ბაიერნში" გადაბარგება და საარაკო გასამრჯელო მართლაც იღბლიანი გარიგებაა. ხუმრობა საქმეა 150 000 დოლარი? ამგვარი ხელფასით პრემიერლიგაში უძვირესი როი კინიც ვერ მოიწონებს თავს. „სანდი მირორის" ცნობით, კონტრაქტი შესაძლოა 5 წლის ვადით გაფორმდეს.

„ბაიერნი" „ბაიერნად", მაგრამ „ტოტენჰემს" რაღა? გუნდს, ეტყობა, გვარიანი პრობლემები გაუჩენია. მეპატრონენი მთავარ მწვრთნელ ჯორჯ გრემს წლის ბოლოს უშვებენ და იმედის თვალი იტალიელი ჯანლუკა ვიალისთვის მიუპყრიათ. მოკლედ, შესაძლოა სოლ კემპბელი მომავალ სეზონში „ბაიერნში" ვიხილოთ, ხოლო შეჭირვებული „ტოტენჰემი" ჯანლუკამ დამოძღვროს.

# ტრევიზანმა პირი მოალო

**შაბათს** საფრანგეთის ჩემპიონატის 25-ე ტურში „ოსერთან" განცდილ საშინაო მარცხს (0:1) შესაძლოა მარსელის „ოლიმპიკის" მეკარე სტეფან ტრევიზანის საფეხბურთო კარიერა შეეწიროს.

მატჩის 24-ე წუთი მიმდინარეობდა, როცა ტრევიზანს ცუდი ამბავი შეემთხვა, უხეში შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც ერთადერთი გოლი გავიდა. ისე, შეცდომაცაა და შეცდომაც, მარსელელთა მეკარემ ბურთი ფაქტობრივად თავად შეაგდო თავის კარში და თანაგუნდელებიც დაალალატა.

„მას ფეხბურთის თამაში აღარ უნდა, ძალიან გაწბილებულია. ახლა ტრევიზანს მძიმე დრო უდგას და დიდი ზეწოლის ქვეშაა" — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას „ოლიმპიკის" მთავარმა მწვრთნელმა ესპანელმა ხავიერ კლემენტემ.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც თავად მეკარემ თვითონ განუცხადა მასმედიას, მაშინ ტრევიზანი მაინცდამაინც მძიმე მდგომარეობაში არ უნდა იყოს.

„მომხდარში დამნაშავე მარტო მე არ ვარ. ახლა ჩვენს კლუბში ძალიან ცუდი ვითარებაა, ჩემპიონატში უხეიროდ გამოვდივართ და გუნდის გარშემოც არასასურველი ატმოსფეროა. ამიტომ ჩვენს თამაშში გასაკვირი არაფერია. დარწმუნებული ვარ, გასულ სეზონში ასეთ შეცდომას არ დავუშვებდი" — თავი იმართლა მეკარემ.



სტეფან ტრევიზანი

ითამაშებს თუ არა ტრევიზანი მომდევნო შეხვედრებში, ჯერჯერობით უცნობია. მისი უარის შემთხვევაში „ოლიმპიკის" კარის დაცვა 19 წლის სედრიკ კარასოს მოუწევს, რომელსაც საფრანგეთის ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში თითზე ჩამოსათვლელი მატჩები თუ უთამაშია. დიდი გამოცდილება არც მარსელელთა მესამე მეკარეს, 21 წლის დემიენ გრეგორინის უმაგრებს ზურგს.

შეგახსენებთ, მარსელის „ოლიმპიკი" ამჟამად აუტსაიდერთა შორისაა, 25 მატჩში 25 ქულა აქვს და დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის.

# მშრალი კანონი ინგლისში



სვენ გორან ერიკსონი

**დიდი** ხანი არაა, რაც ინგლისის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიკსონი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. რომის „ლაციოს" ყოფილი თავკაცის დებიუტი ახალ თანამდებობაზე ამ თვის ბოლოს შედგება, როცა ბრიტანელები ამხანაგურად ესპანეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდებიან.

ფაქტია, ერიკსონმა ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი, ინგლისელები უცხოელ მწვრთნელს ალბათ პატარა წაფორხილებასაც არ აპატიებენ. ეს შვედსაც კარგად მოეხსენება.

„ინგლისის ნაკრებისგან ყველა წარმატებებს ელის, მათ შორის მეც. მჯერა, ჩემი ხელმძღვანელობით გუნდი ბევრს მიაღწევს" — განაცხადა ერიკსონმა მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ.

„წარმატებას რომ მივაღწიოთ, ამისთვის მტკიცე დისციპლინაა საჭირო — თქვა შვედმა მწვრთნელმა ახლახან რადიოსადგურ „ბი-ბი-სი-სთან" ინტერვიუში და დაამატა — ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ფეხბურთელებთან კარგი ურთიერთობა მქონდეს, თუმც სპორტული რეჟიმის დარღვევას არავის ვაპატიებ". აღსანიშნავია, რომ შვედი მტკიცე დისციპლინაში ალკოჰოლური სასმელების აკრძალვასაც გულისხმობს. ინგლისის ნაკრებში ამხანაგური თუ ოფიციალური მატჩების წინ ალკოჰოლური სასმელის მოხმარების არაერთი ფაქტი ყოფილა, ახლა კი...

„ასეთი რამ აღარ განმეორდება. თუ ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში თამაშის პატივი ერგება, მაშინ მან უარი უნდა თქვას ღვინოსა და ლუდზე. პროფესიონალი თუ ხარ, პროფესიონალივით უნდა მოიქცე. ჩვენი დავალება ფეხბურთის თამაშია, მის შესასრულებლად კი ალკოჰოლურ სასმელზე უარის თქმა აუცილებელია" — განაცხადა ერიკსონმა.

ასე რომ, ინგლისის ნაკრებში შეკრებებისას ალკოჰოლის მიღება სასტიკად აეკრძალათ. გამოასწორებს თუ არა შვედი მწვრთნელის მიერ მიღებული „მშრალი კანონი" წამხდარ საქმეს (ინგლისელებს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში ორი მატჩის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა აქვთ), მომავალი გვიჩვენებს.




**გერმანიის** ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველი თომას შტრუნცი „მანჩესტერ სიტიში" ერთკვირიან შემოწმებას გაივლის და შესაძლოა, პრემიერლიგურ კლუბთან კონტრაქტი გააფორმოს. 32 წლის ფეხბურთელი ბუნდესლიგურმა გუნდმა ტრანსფერზე დააყენა, რადგან მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდის ტაქტიკურ გეგმებს ვერ ერგებოდა. ახლა იგი თავისუფალი აგენტია. შტრუნცს „მიუნხენ 1860" და „კიოლნი" იწვევდნენ, თუმცა მან ინგლისში გადასვლა არჩია.

**შოტლანდიის** ჩემპიონატის ლიდერ „სელტიკის" თავდამსხმელმა ეიალ ბერკოვიჩმა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და „სელტიკ პარკის" დატოვება გადაწყვიტა. მან ახლახან გაამხილა, რომ შესაძლოა, კარიერა ინგლისის პირველდივიზიონურ „ბლექბერნში" გააგრძელოს. „ახალ კლუბს ამ ორ დღეში შევუერთდები. მოხარული ვარ, რომ თავის გამოჩენის შანსი კვლავ მომეცა" — განაცხადა ებრაელმა ფეხბურთელმა, მისმა აგენტმა კი დასძინა, რომ წინადადებები პრემიერლიგური კლუბებიდანაც მიიღო, თუმც „ბლექბერნის" მენეჯერს გრემ სუნესთან კარგი ურთიერთობის გამო თავად ბერკოვიჩმა არჩია პირველდივიზიონურ კლუბში თამაში.

**არგენტინის** ნაკრების ყოფილი კაპიტანი ოსკარ რუჯერი, რომელიც ადრე მადრიდის „რეალში" თამაშობდა, ხოლო ახლა „სან ლორენსოს" თავკაცობდა, თანამდებობიდან გადადგა. გაირკვა, რომ მას კლუბის პრეზიდენტთან ჰქონია უთანხმოება. ხელმძღვანელობა იუწყება, რომ ახალ მწვრთნელს რამდენიმე დღეში დაასახელებს, სანამ ჩემპიონატის მეორე ეტაპი — კლაუსურა და ლიბერტადორესის თასის გათამაშება დაიწყება.

**ინგლისურ** „ნიუკასლს" მცველი ალან გომა თვეზე მეტი ხნით დააკლდება, ფეხბურთელმა ხელი მოიტეხა. გომა ორი კვირით ადრე „ჩელსისთან" მატჩში დაშავებულა, თუმც მაშინ ვერ მიხვდნენ, რომ მოტეხილობა ჰქონდა, ბოლოს კი, როცა „ჩელსის" რომელიღაც მოთამაშემ მას ხელზე დააბიჯა, ტკივილებმა ერთობ შეაწუხა. რთული ტრავმა აღმოაჩნდა. „ხელახალ რენტგენს ჩავუტარებთ, შემდეგ კი ცნობილი ტრავმატოლოგი გასინჯავს. იმედი გვაქვს, რომ გომა მოედანს დაახლოებით ერთ თვეში დაუბრუნდება, მანამდე კი თაბაშირის სახვევი უნდაატაროს" — განაცხადა კლუბის ექიმმა.

**ესპანეთის** ჩემპიონ „დეპორტივოს" თავდამხმელმა როი მაკაიმ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, „რასინგის" წინააღმდეგ მატჩში, ტრავმა მიიღო და გუნდს დაახლოებით ორ კვირას ვერ დაეხმარება. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში ლაკორუნიელთაგან ორივე გოლი სწორედ ჰოლანდიელმა გაიტანა. კლუბის ექიმები იუწყებიან, რომ მაკაის მუხლის მყესი აქვს დაჭიმული და დასვენება სჭირდება.

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნი" ლაზარეთს დაემსგავსა. გუნდის თავკაცმა ანდრეას ბრემემ ერთბაშად რვა ფეხბურთელი მოისაკლისა. იური ჯორკაეფს, პეტრ გაბრიელს, მიხაელ შონბერგს, ჟოზე დომინგუშს, დიმიტრიოს გრამოცისს, იორგენ პეტერსონს, სილვიო აჯიჩს და სლობოდან კომლიენოვიჩს ტრავმები აწუხებთ. ჰოდა, შაბათს „ლაუტერნის" შტუტგარტში 1:6 მარცხიც რაღა გასაკვირია? ისე, 16 წელია, კაიზერსლაუტერნელებს ასეთი ანგარიშით აღარ წაუგიათ.

**პორტუგალიელმა** ნახევარმცველმა სიმაო საბროსამ ვარჯიშის დროს ტრავმა მიიღო და „ბარსელონას" დაახლოებით ოთხი კვირით დააკლდება. ფეხბურთელმა საზარდული დაიზიანა. სიმაო გამოტოვებს უეფას თასის ორივე მატჩს ბერძნული აეკ-ის წინააღმდეგ. სავარაუდოდ, ვერც მადრიდის „რეალთან" შეხვედრაში ითამაშებს, რომელიც მარტის დასაწყისში ჩატარდება.

**ინგლისური** „ჩელსის" ახალგაზრდა ფეხბურთელმა ჯონ ტერიმ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „20 წლის მოთამაშემ კარგი შედეგი აჩვენა და შეთანხმების გახანგრძლივებაც დაიმსახურა" — განაცხადა ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა კოლინ ჰათჩისონმა. თავად ფეხბურთელმა კი, რომელსაც ახლა გრიპი აწუხებს, თქვა: „მიხარია, რომ კლუბმა დამაფასა და მეტი ხნით დარჩენა შემომთავაზა. დიდი იმედი მაქვს, რომ თავს გამოვიჩენ".

**პორტუგალიური** გრანდის, ლისაბონის „ბენფიკას" პრეზიდენტი მანუელ ვილარინიუ ქვეყნის მთავრობას დაემუქრა, კლუბის კუთვნილ სტადიონს ევრო 2004-ის მასპინძლობიდან მოვხსნი, თუ ვალებს ერთიანად გადავახდევინებთო. დღეს „ბენფიკას" სახელმწიფო ბიუჯეტისა 13 მილიონი ამერიკული დოლარი მართებს. ვილარინიუმ ფინანსთა მინისტრს თხოვნით მიმართა, ნუ დაგვახრჩობთ, ვალის გადახდის გრაფიკი შეგვიდგინეთ და ჩვენც დავალიანებას ნაწილ-ნაწილ დავფარავთო, მაგრამ უარი მიიღო. „თუ გვაძალებენ, კი ბატონო, გადავიხდით ფულს, მაგრამ შედეგებზე პასუხს არ ვაგებთ. იძულებულნი გავხდებით, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე უარი ვთქვათ, რადგან, რეკონსტრუქციისთვის თანხა აღარ გვრჩება" — თქვა პრეზიდენტმა.

**ჩეხმა** ფეხბურთელმა ირჟი ნემეცმა თავის ამჟამინდელ კლუბ გელზენკირხენის „შალკესთან" ხელშეკრულება გააგრძელა. 34 წლის ნახევარმცველს კონტრაქტი მიმდინარე სეზონის შემდეგ უსრულდებოდა, ახალი გადაწყვეტილებით კი კიდევ ერთი წელი დარჩება. „შალკეს" ნემეცის ტრანსფერი პრაღის „სპარტადან" თავის დროზე 900 ათასი მარკა დაუჯდა. ეს 1993 წელს მოხდა.

**ინგლისურმა** „ლესტერ სიტიმ" ბრიტანულ სამოყვარულო კლუბ „ალტრინჰემიდან" თავდამსხმელი კევინ ელისონი შეიძინა, მის სანაცვლოდ კი, 50 ათასი გირვანქა გადაიხადა. პრემიერლიგელთა ერთ-ერთი თავდამსხმელი დარენ იდი ამჟამად ტრავმირებულია და მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა გუნდი სწორედ ელისონით გააძლიერა. „დარენი ნელ-ნელა ფორმას იბრუნებს, თუმცა მის სრულ დატვირთვას ვერიდები, შემცვლელად 21 წლის ფორვარდი ელისონი შევიძინეთ, ნიჭიერია და დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია" — განაცხადა „ლესტერის" თავკაცმა პიტერ ტეილორმა.

**ბერძნული** „ქსანტის" მწვრთნელი ხუან რაიმონ როხა ერთი თვის მუშაობის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა. კლუბის ხელმძღვანელობა იუწყება, რომ არგენტინელმა სპეციალისტმა პირადი მიზეზების გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. „პანათინაიკოსისა" და სალონიკის „არისის" ყოფილმა მწვრთნელმა „ქსანტს" მხოლოდ ხუთ შეხვედრაში უხელმძღვანელა. ჩემპიონატში ამჟამად მერვე ადგილზე მყოფ გუნდს დამხმარე მწვრთნელი ნიკოს კარაგეორგიუსი უთავკაცებს.

**გერმანიის** ნაკრების ყოფილი და მიუნხენის „ბაიერნის" ამჟამინდელი ნახევარმცველი შტეფან ეფენბერგი ტრავმამ შეაწუხა, რის გამოც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა ვარჯიშიდან გაათავისუფლა. „ეფე" ახლა კლუბის ექიმის, დოქტორ მიულერ-ვოლფარტის ზედამხედველობით მკურნალობს. ექიმის თქმით, „ბაიერნის" კაპიტანი შაბათს „შტუტგარტთან" მატჩში მინდორზე გასვლას ალბათ მაინც შეძლებს.

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
☎ 8 22 009 000, 8 22 009 001 (1წთ/50 თეთრი)

# პარამარიბოელი ჯიმი

**„ჰა, ჯიმი!** ნახე, ნახე როგორ ლაპლაპებს, შავი კი არა, ლურჯია ტო!“ — „პაიჭაძის“ სტადიონის გასახდელიდან გამოსულ „ბოავიშტას“ ფეხბურთელებში იქვე შეკრებილმა ბიჭებმა ჰასელბაინკი გამორჩეული, მეგობრული რეპლიკებით გააცილეს. „ძაან მაგარიაო და, ბოლოს კი გამოიყვანეს. წესიერად მაინც გვენახა“ — ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

ეს ამბავი 1996 წლის 15 ოქტომბერს ხდებოდა. „დინამო“ უეფას თასზე პორტუგალიურ „ბოავიშტას“ მასპინძლობდა. თამაშის წინ, პრესცენტრში შემადგენლობები ჩამოგვირიგეს — №9 ჯერელ ფლოიდ ჰასელბაინკი თადარიგში გაემწესებინათ. მაშინ მას არავინ იცნობდა, თუმცა მთლად ჭაბუკიც აღარ ეთქმოდა, 24 წლისა მოყრილიყო. მინდორზე ბოლო 15 წუთს გამოიყვანეს და ჩვენი მცველებიც სხვანაირად აწრიალდნენ.

იმ დღეს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. „დინამომ“ 1:0 მოიგო და ორი კვირის თავზე პორტუს იმედით ესტუმრა. მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე 0:3 ვაგებდით. სამივე ჯიმის გაეტანა... მერე ლატაპიმ და ტავარეშმა თითოც დაამატეს და „დინამო“ შერცხვენილი გამოუშვეს თბილისში.

ჯერელი მისი ბავშვობის სახელია. ცხრა — საყვარელი ნომერი. ტომით სურინამელია, ამ პატარა ქვეყნის დედაქალაქ პარამარიბოში დაიბადა. დღეს ჰოლანდიის ნაკრების ნარინჯისფერი მაისურა აცვია და ლონდონის „ჩელსის“ ბომბარდირია.

სურინამი, მოგეხსენებათ, სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. მხოლოდ მეოთხედი საუკუნეა საკუთარ ისტორია აქვთ, მანამდე ჰოლანდიის კოლონია გახლდათ და „ნიდერლანდების გვიანას“ ეძახდნენ. მოსახლეობა დაახლოებით ნახევარი მილიონია და მათი უმრავლესობა პარამარიბოში ცხოვრობს.

Вот бы и нам таких отцов из Суринама — ცნობილი საბჭოთა კომენტატორის, ვლადიმირ პერეტურინის ეს სიტყვები, რა ხანია, ფრთიან გამოთქმად იქცა. მართლაც საოცარია ამათი ნიჭიერება. აბა წარმოიდგინეთ, როგორი ნაკრები შეიძლება ჰყოლოდა სურინამს: კარში მენცო, განაპირა მცველები ბოგარდი და რაიციგერი, ცენტრში რაიკარდი, შუა ხაზში გულიტი, დავიდსი, ზეედორფი და ვინტერი, თავდასხმაში კლუივერტი, როი და ჰასელბაინკი... ოკეანისგაღმელები არც მალავენ, რომ კარიბეთში საუკეთესო ფეხბურთელები სურინამელები არიან, მაგრამ იცით მათი ეროვნული გუნდის ყველაზე დიდი მიღწევა რა არის? რა და, ორი წლის წინათ ამხანაგურ მატჩში მეზობელი იამაიკის დამარცხება... საფეხბურთო კრიტერიუმიც სწორედ იამაიკაა და არა ჰოლანდია.

პარამარიბოს ქუჩებში გვიან ღამემდე არ წყდება სამხრეთული ქალაქისთვის დამახასიათებელი სანახაობა — პატარა ბიჭები გატაცებით და ხმაურით თამაშობენ ფეხბურთს. ერთი ამათგანი იყო ჯიმიც, დღეს ინგლისური პრემიერლიგის ერთ-ერთი მთავარი მეგოლე.

„ბოავიშტადან“ ინგლისურმა „ლიდსმა“ 97-ის ზაფხულში იყიდა და სულ რაღაც ორი მილიონი გირვანქა გადაიხადა. მწვრთნელი ჯორჯ გრემი განსაკუთრებით აფასებდა ჰასელბაინკის უნივერსალურობას. ჯიმი კარგად თამაშობს ორივე ფეხით, თანაბარი სიზუსტით ურტყამს სხვადასხვა სიშორიდან, დრიბლინგიც გამოსდის და მეკარის სიახლოვეს დასწრებაზე თამაშიც ეხერხება. დებიუტანტმაც გაუმართლა და პირველივე სეზონში, ჯამში 22 ბურთი გაიტანა.

მერე ყველაფერი შეიცვალა. გრემი „ტოტენჰემში“ გადავიდა, „ლიდსი“ კი მისმა თანაშემწე დევიდ ოლირიმ ჩაიბარა. ოლირიმ ახალგაზრდებთან მუშაობა ამჯობინა და ჯიმის საქმეები აერია. შედეგად, სურინამელ-ჰოლანდიელი მადრიდის „ატლეტიკოში“ აღმოჩნდა. მართალია, შარშან „ატლეტიკო“ პრიმერადივიზიონიდან გავარდა, მაგრამ ამაში ყველაზე ნაკლები ბრალი ჰასელბაინკს ედო. მას ბევრი გაჰქონდა და მეგოლეთა დავაში მესამე ადგილიც დაიკავა.

2000-ის ზაფხულში კი არეულ-დარეული „ატლეტიკოდან“ მშვიდ და მდიდარ „ჩელსიში“ გადავიდა. ფასი 15 მილიონი გირვანქა ბრიტანეთის მაშინდელი რეკორდი გახლდათ.

ჯიმი უკომპლექსო კაცია. გადავა თუ არა ახალ გუნდში, პარტნიორებთან უმალ გამონახავს ხოლმე საერთოს და საქმეც ეწყობა. „ჩელსიში“ პირველი ოფიციალური მატჩი აგვისტოში გამართა „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ. „ჩერითი შილდის“ შეხვედრაში, რომელშიც ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი ხვდებიან. ითამაშა და გოლიც გაიტანა. „ჩელსის“ ამ სეზონში უმაღლესი მიზანი — პრემიერლიგის ჩემპიონობა დაუსახეს. მაგრამ დასაწყისი არცთუ შთამბეჭდავი გამოდგა და მეხუთე ტურში, „ნიუკასლთან“ ფრის შემდეგ მწვრთნელ ჯანლუკა ვიალის კარებისკენ მიუთითეს. იტალიელი იტალიელმა შეცვალა, „სტემფორდ ბრიჯზე“ კლაუდიო რანიერის ხანა დადგა.

ვიალის წასვლამ გარკვეული პრობლემები შვა. ამბობდნენ, მწვრთნელის შეცვლაში თავისი წვლილი ფრანკ ლებეფმაც შეიტანა. ჩელსელებს ის ადრეც არ ეხატებოდათ გულზე, ინგლისელებს განუწყვეტლივ აკრიტიკებსო, ამ ამბის შემდეგ ხომ საერთოდ სტვენა დაუწყეს. ეჭვი ჰქონდათ ჯანფრანკო ძოლაზეც, თითქოს მას სურდა ვიალის ადგილის დათრევა, მაგრამ ტანმორჩილ იტალიელს ეს ამბავი სასაცილოდაც არ ეყო.

რანიერიმ ნელ-ნელა ურთიერთობები მოაწესრიგა. ჯიმი კი ამ ხნის მანძილზე ჩუმად იყო და თავის საქმეს აკეთებდა: „ქოვენთრის“ ოთხი გაუტანა, მერე „ტოტენჰემს“ ორი...

დღეისთვის ჰასელბაინკს პრემიერლიგაში 14 გოლი მოუგროვდა და იფსვიჩელ მარკუს სტიუარტს ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ერთით ჩამორჩება.

თავად ფეხბურთელის თქმით, მისი საწუხარი ის არის, რომ ეროვნული გუნდის ძირითადში ფეხი ვერ მოიკიდა. 1998 წელს, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გუს ჰიდინკმა ბელგიასთან პირველ მატჩშივე ათამაშა, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა და ადგილი ბერხკამპს დაუთმო. რამდენიმე დღეში ბერხკამპი ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი გახდა, ჯიმიმ კი მექსიკასთან 12 წუთილა ითამაშა.

ჰასელბაინკს ევრო 2000-ზე გამოსვლაც ძალიან სურდა. ტურნირის დაწყების წინ ნაკრების ბანაკშიც ვარჯიშობდა, მაგრამ... საბოლოო შემადგენლობის გამოცხადებისას ფრანკ რაიკარდმა მისი გვარი არ ამოიკითხა. ასეთივე დღეში აღმოჩნდნენ ბარსელონელი ბოგარდი და ეინდჰოვენელი ოიერი.

ნაჩემპიონატევს რაიკარდი ლუის ვან გაალმა შეცვალა და თითქოს ჯიმი მასაც მიავიწყდა, მაგრამ მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის რამდენიმე უხეირო შესარჩევი მატჩის შემდეგ, „ნარინჯისფერთა“ თავკაცმა რაღაც-რაღაცეებზე აზრი შეიცვალა და ნოემბერში ესპანელების წინააღმდეგ ამხანაგურ შეხვედრაზე მიიწვია. ჯიმიმ თავისი ოსტატობა ისევ დაამტკიცა, ჰოლანდიამ 2:1 მოიგო და ერთი სწორედ ჩელსელმა გოლების მანქანამ შეაგდო. ვან გაალმაც მონდომება შეუქო.

ვინ იცის, ეგებ პარამარიბოელს „ნარინჯისფერთა“ ძირითადიც აღირსონ...

**სოლომონ გულისაშვილი**




ჯიმი თბილისში და ლონდონში



რობერტო აიალა

იტალია, სერია A,
იქ მოთამაშე
სამხრეთამერიკელები,
მათ ყოველ კვირა უხდებათ
ერთმანეთის მხარდამხარ
თუ პირისპირ ბრძოლა,
თუმცა მათ სხვა რამეც
აკავშირებთ — ყველანი
ევროპელობისკენ
მიისწრაფიან...

# ევროპასპორტომანია

## შემოსავლის ახალი წყარო

**საფრანგეთში** ცოტა ხნის წინ აგორებული საპასპორტო სკანდალი ნელ-ნელა მთელ ევროპაში ვრცელდება. ბებერი კონტინენტის წამყვან საფეხბურთო ქვეყნებში კლუბი არ მოიძებნება, ევროკავშირის ყალბი პასპორტით მოთამაშე ფეხბურთელი რომ არ ჰყავდესო, გაიძახიან ბოროტი ხმები.

ამას წინათ სერია A-ში მოთამაშე ლეგიონერთა პასპორტებით იტალიის ფეხბურთის ფედერაცია დაინტერესდა და შესაბამის ორგანოებთან ერთად გამოძიებასაც შეუდგა. ეჭვმიტანილთა სიაში არგენტინელი რობერტო აიალაც მოხვდა.

აიალა მიმდინარე სეზონამდე „მილანის“ მცველი გახლდათ, გასულ ზაფხულში კი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ ესპანურ „ვალენსიაში“ გადავიდა. ვალენსიელებმა არგენტინის ნაკრების ფეხბურთელი როგორც ევროკავშირელი, ისე შეიძინეს, ახლა კი რა გამოდის? აიალას იტალიური პასპორტი ყალბია და ბუნებრივია, არგენტინელ მცველზეც არაევროკავშირელებისთვის დაწესებული ლიმიტი გავრცელდება. ამ ამბავმა კი „ვალენსიას“ ხელმძღვანელობა ძალიან განარისხა.

„თუ დამტკიცდება, რომ აიალას პასპორტი ნაღდი არ არის, მაშინ მილანელებს ასეთ საქციელს არ შევარჩენთ, ფიფაშიც ვუჩივლებთ და უეფაშიც. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ იტალიელები მკაცრად დავსაჯოთ“ — იმუქრება ესპანური კლუბის პრეზიდენტი პედრო კორტესი.

ამ განცხადების შემდეგ იტალიის იურიდიულმა სამსახურმა ეჭვი გამოთქვა, რომ სერია A-ს კლუბები საგანგებოდ ყიდულობენ არაევროკავშირელ ფეხბურთელებს, არალეგალური გზებით იტალიურ პასპორტებს აძლევენ და შემდეგ სარფიანად ყიდიან სხვადასხვა ევროპულ კლუბებში. ასე რომ, ფეხბურთელთათვის ყალბი პასპორტების მიცემით იტალიური გუნდების ხელმძღვანელებს შემოსავლის ახალი წყარო გაუჩენიათ.

აღსანიშნავია, რომ მარტო ესპანეთის პრიმერადივიზიონში 27 ფეხბურთელი თამაშობს იტალიური პასპორტით. მათი უმრავლესობა არგენტინიდან, ბრაზილიიდან და ურუგვაიდანაა.

**ვანო ოქრობირიძე**

# ევროპის გზას ვერ მიმასწავლით?

**უდინეზელები** — ვალენტინო ალბერტო, ალესანდრო და სილვა და დუშ სანტუშ ვარლეი უკვე ამხილეს იმაში, რომ ყალბი პორტუგალიური პასპორტები ჰქონდათ. თუმცა რაღა ამ უსახელო ფეხბურთელებს მივადექით, როცა ხუან სებასტიან ვერონსა და ალვარო რეკობას უხდებათ თავიანთი ევროპული ფესვების მტკიცება.

აი, კიდევ ორი ბრაზილიელი — ნევიშ კაპუშუ ჯედა და ლეონი ანდრე დედე. ესენი „ვიჩენცაში“ ირიცხებიან და ჯიბეშიც თურმე ყალბი პასპორტები უდევთ. ორივე ვიჩენცაში ერთი წლის წინ ჩავიდა, ჯედა „სან ჟოაუში“ თამაშობდა, ხოლო დედე — „კამპინასში“. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვიჩენცაში მხოლოდ ჯედა ჩავიდა, რაკი იტალიელებმა დედე ყიდვისთანავე ისევ „კამპინასში“ გაანათხოვრეს. ჯედას კი ძირითადად სარეზერვოებთან უწევს ყოფნა. მან სერია A-ში მხოლოდ ორჯერ ითამაშა, მათ შორის ბოლოს — გასულ უქმეებზე „უდინეზესთან“ შეხვედრაში და ისიც შეცვლაზე.

თუმცა საქმის არსს ამ ფეხბურთელთა სასტარტო შემადგენლობაში არყოფნა არ ცვლის და კლუბს თავის მართლება მოუხდა. „ვიჩენცას“ გენერალური დირექტორი რინალდო სარიამოლა ამბობს, ღმერთი, რჯული, ამ ამბისა არაფერი ვიცოდით, თორემ პირველები ჩვენ ავტეხდით ხმაურსო. ამის დასტურად „ვიჩენცა“ აპირებს, უჩივლოს „სან ჟოაუს“, რომელსაც ჯედას სანაცვლოდ 600 ათასი დოლარი გადაუხადა. სარიამოლამ თქვა, შეუძლებელია ბრაზილიურ კლუბს ყალბი პასპორტის ამბავი არ სცოდნოდაო.

იტალიელ გამომძიებლებს სულ 24 ფეხბურთელის საქმე უდევთ მაგიდაზე და მათი ევროპელობის კანონიერებას იკვლევენ. ესენი „უდინეზეს“, „მილანის“, „ბარის“, „ინტერის“, „რომას“, „პარმასა“ და „ნაპოლის“ მოთამაშეები არიან.

# ფულიანები ჰაიბერიზე უფულოები ფითემზზე

**ვთქვათ,** მოხვდით გაერთიანებულ სამეფოში და სტადიონზე წასვლა ისურვეთ. უინტერესო არ უნდა იყოს იქაური ფასების გაცნობა.

ერთ-ერთმა ორგანიზაციამ ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის დივიზიონებში მოთამაშე ყველა კლუბის პრეისკურანტები შეისწავლა. მთლიანობაში იანგარიშეს: ბილეთის (საშუალო), პროგრამის, ქომაგთათვის განკუთვნილი სპეციალური ჟურნალის, ცხელი სასმელის, სენდვიჩისა და კათხა ლუდის ფასები. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს ყველაზე ძვირი „ჰაიბერიზე“ ღირს. „არსენალის“ ქომაგები სტადიონზე ყოველი მისვლისას 40 გირვანქას ხარჯავენ. ყველაზე იაფი კი „ფითემზზე“ სტუმრობაა, სადაც მესამედივიზიონელი „დარლინგტონი“ თამაშობს. იქ სრული მომსახურება 13 გირვანქა ჯდება.

ცხადია, შეიძლება მხოლოდ ბილეთითაც იოლად გასვლა, თუმცა ბრიტანელები მატჩის ყურებისას მაქსიმალურ კომფორტს ამჯობინებენ. ამას წინათ ვწერდით, რომ ინგლისური კლუბები სეზონში რამდენიმე მილიონ გირვანქას სენდვიჩების გაყიდვით იღებენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია IV ჯგუფი. I ტური

**სინგაპური 0:1 ყირგიზეთი**

0:1 კოვალენკო (83)

**ქუვეითი 2:1 ბაჰრეინი**

1:0 ალ ჰუვაიდი (66), 2:0 ალ საუბი (72), 2:1 ალ საიდი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქუვეითი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ყირგიზეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბაჰრეინი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| სინგაპური | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

## საფრანგეთი

**ლიგის თასის 1/4ფინალის წილისყრა**

ამიენი (III) — ლიონი; შატორუ (II) — მონაკო; ნიორი (II) — სენტ ეტიენი; ტრუა — ნანტი

მატჩები გაიმართება 24 თებერვალს

## პორტუგალია

**XX ტური**

**ფერეირა 1:0 პორტუ**

1:0 ლეონარდუ რიბეირუ (90)

## იტალია

**სერია B. XXI ტური**

**სამპდორია 2:0 სალერნიტანა**

1:0 ლუიზო (55), 2:0 ლომბარდო (61)

**სერია C1b. XXI ტური**

**აველინო 0:0 პალერმო**

## ამხანაგური მატჩები

**სენეგალი 1:0 მალი**

1:0 ნდიაე (37)

**აშშ 0:1 კოლუმბია**

0:1 გრისალესი (54)

**საუდეთი 3:1 უგანდა**

1:0, 2:0 ალ ოტეიბი (18, 22), 3:0 ალ იაინ (77), 3:1 ავაილებლი (90)



# როდის მოკვდება მარადონა?

**კუბაო,** ფიდელ კასტროო, კლინიკაო, ისაო, ესაო, ყველაფერი ტყუილი გამოდგა — ალფრედ კაემ თქვა, მარადონა ძველებურად ყნოსავს კოკაინსო.

ალფრედ კაეს დაეჯერება, სახელგანთქმული არგენტინელის დასტაქარია, დიდება კი იმით მოიპოვა, რომ 24 წლის დიეგო არმანდოს პირადი ექიმი გახლდათ.

ეჭვი კაეს განცხადებამდეც არსებობდა, რადგან ბოლო ტელეინტერვიუში მარადონა რაღაც დაბნეულად ლაპარაკობდა, აზრის ნორმალურად ჩამოყალიბებას ვერ ახერხებდა.

ალფრედ კაემ დაიანგარიშა და თქვა, თუკი დიეგო კოკაინის „გონივრულ დოზას" დასჯერდება, სამოცდაათ წლამდე იცოცხლებსო. დასაზუსტებელი ისლაა, „გონივრული დოზა" (თუკი ნარკოტიკებში ასეთი ცნება არსებობს) რამდენია და თუ იმყოფინებს მას მარადონა.

# მცველი, რომელსაც ვერასდროს გაექცევი

## ჯორჯ ბესტი კვლავ ჰოსპიტალში მოხვდა

**პარასკევს** ჩრდილოირლანდიური ბელფასტის ერთ-ერთ ჰოსპიტალში 54 წლის კაცი, ტელეკომპანია „სქაის" საფეხბურთო მიმომხილველი მიიყვანეს. „მისი მდგომარეობა მეტად რთულია" — თქვეს იმ საღამოს ექიმებმა.

...ბრიტანული ფეხბურთის ლეგენდა ჯორჯ ბესტი ვერა და ვერ მოშორდა სამკურნალო დაწესებულებებს. შარშან მარტში იყო და მორიგი ლოთური დროსტარების მერე „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი ვარსკვლავი ციროზის დიაგნოზით ლონდონელ ექიმებს ჩაუვარდა ხელში. ღვიძლის დაშლის პროცესი მაშინ შეაჩერეს, ოღონდ თავის დროზეც ათას ბოთლზე გადამხტარი ბესტი გააფრთხილეს — ერთი წვეთიც და ხელები დაგვიბანიაო.

თითქოს გონს მოვიდა: 28 წლის მშვენიერ მეუღლე ალექსთან ერთად ჯერ ესპანეთის ზღვისპირა კურორტებს ეწვია, მერე ვენეციური გონდოლებით სეირნობით იჯერა გული, მაგრამ ჩამოვიდა მშობლიურ ჩელსიში და... არა, არც აქ დაულევია, მაგრამ — ლონდონი წმინდანს აცდენსო — გაიფიქრა და სამშობლოში, პატარა ჩრდილოირლანდიურ ქალაქ პორტავოგისთან მდებარე სოფელში გადასახლდა, სადაც 200 ათას გირვანქად მშვენიერი სახლი იყიდა. „ცდუნებას გაერიდა და სწორიც გააკეთა" — თქვა მისმა ერთ-ერთმა ძმაკაცმა.

მაგრამ ბესტის ორგანიზმმა პატრონს ისეთივე კვანტი დაუდო, ადრე მის წინააღმდეგ მოთამაშე მცველები რომ იყენებდნენ: „შევატყე, რომ სუნთქვა სულ უფრო და უფრო უჭირდა, პარასკევს კი მდგომარეობა კრიტიკული გახდა" — ამბობს მეუღლე ალექსი. მოკლედ, ჯორჯ ბესტს ამჯერად ფილტვების ანთება დაემართა.



ჯორჯ ბესტი

ორშაბათს შვილს 81 წლის მამა, ბელფასტთან ახლოს მცხოვრები დიკი ესტუმრა. მეუღლის გარდა ის ერთადერთი იყო, ვინც ექიმებმა ბრიტანეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული კაცის პალატაში შეუშვეს. „თითქოს საქმე უკეთ მიდის. თუ ასე გაგრძელდა, ერთ კვირაში ეგებ შინაც დაბრუნდეს. ერთი ეგაა, ჯორჯი ძალიან განიცდის ამ ამბავს — ყველაფერი კარგად მიდიოდა და ამ ფილტვებს რაღა უნდოდათო" — განუცხადა დიკი ბესტმა ბი-ბი-სის რეპორტიორს.

**გიგა ძოგახიძე**


რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით

დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3

(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

მსოფლიოს ჩემპიონატი. სანქტ ანტონი (ავსტრია)

# ვიკინგის ოქრო




გაქთა კომბინაციის საპრიზო სამეული (მარცხნიდან): მარიო მატი, კეტილ ანდრე ამოდტი, პაულ აკოლა

REUTERS

**კეტილ ანდრე ამოდტი** მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა. გუშინწინ სანქტ ანტონის მსოფლიოს პირველობაზე მისი საქმეები ჩინებულად აეწყო, გუშინ დაგვირგვინდა და ნორვეგიელმა სამთომოთხილამურემ ისტორიაში თავისი სახელი უფრო მკაფიოდ ჩაწერა. კერძოდ, კომბინაციის ოქროს მედალმა ამოდტი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონატების ყველაზე მედალმრავალ მოთხილამურედ აქცია. ახლა მან თვისტომ ლასე კიუსსა და პენსიაზე გასულ მარკ ჟირარდელის (ლუქსემბურგი) გაუსწრო და ყველა სინჯის 14 მედალს ითვლის. ისიც აღსანიშნავია, რომ ამოდტი მსოფლიოს თასზეც მშვენივრად სრიალებს, გასულ სეზონში მხოლოდ ჰერმან მაიერს ჩამორჩა და სლალომის ბროლის გლობუსი მოიგო. ვიცე-ჩემპიონი იყო 1998 წელსაც.

ამოდტს გუშინწინ დაძაბული სლალომი ელოდა. ორდღიანმა დასვენებამ კეთილად იმოქმედა კიუსზე და იგი სასტარტო ხაზთან ხარივით ჯანიანი ჩანდა, სრიალი ძლიერ ენერგიულად დაიწყო, მაგრამ ბედმა უმტყუნა, შეცდომა დაუშვა და რბოლას გამოეთიშა. სამაგიეროდ, ფინიში გადაკვეთეს სლალომის ავსტრიელმა სპეციალისტებმა — მარიო მატმა და რაინერ შონფელდერმა, რომელთა დროითი მაჩვენებლები ამოდტისაზე ოდნავ მეტი გამოდგა. თავად ნორვეგიელმა თავისი საქმე კლასიკურად გააკეთა, არც ზედმეტი გაურისკავს, არც მომეტებულად გაფრთხილებულა, ფინიში კი საუკეთესო დროით გადალახა.

„ვერ ვიტყვი, რომ დღეს სრულყოფილად ვისრიალე — შენიშნა თავმდაბალმა ამოდტმა სლალომის შემდგომ — მაგრამ ეს კომბინირებული სლალომი იყო, სადაც ტაქტიკური მხარის დავიწყება არ ეგების. მე ლიდერი ვარ და ეს კარგია, მაგრამ ორი ავსტრიელი (მატი და შონფელდერი) სწრაფდაშვების დროსაც მხედველობაში უნდა მყავდეს, მილერის და აკოლასიც მეფიქრება.

რაც შეეხებათ ავსტრიელებს, სპეციალისტების განსჯით, მათგან კარგი სწრაფდაშვება ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ორივე სლალომს გადაყოლილად ითვლება, თუმცა მატის საწვრთნელი სრიალი პარასკევს საყურადღებო იყო — იგი მხოლოდ ამოდტს ჩამორჩა. მეტი შანსები ჰქონდათ სლალომში მეოთხეზე გასულ ამერიკელ ბოდე მილერსა და მომდევნო პაულ აკოლას. არც მილერია სწრაფდაშვების სპეციალისტი, მაგრამ ყოველთვის ნახსენებ ავსტრიელებზე უკეთეს შედეგებს აჩვენებს და იმედიანად იყო განწყობილი. „კარგი დღე იყო — თქვა მან ჟურნალისტებთან — სრიალში მთელი სული და გული ჩავდე და შედეგს არა უშავს. ერთი-ორგან რომ არ წამეფორხილა, ვინ იცის...“. ადრე, მსოფლიოს თასზე, მილერმა სამი სლალომი ისრიალა და ფინიშს ერთხელაც ვერ უწია, ამდენად, მისი დადებითი განწყობილება კომენტარს არ საჭიროებს, თუმცა მილერისა და ილბლის მომდევნო გაბუტვის შესახებ ცოტა ქვემოთ ერთხელაც მოგვიწევს საუბარი, როცა სამშაბათის ამბებს გაცნობებთ. პაულ აკოლაზე კი ბევრის თქმა შეიძლება. გასულ სეზონამდე, მოგეხსენებათ, მსოფლიოს თასის ჯამური რეკორდი მისი საკუთრება გახლდათ, 1699 ქულით გამოხატული და ის ქაჯი ჰერმან მაიერი რომ არ გამოჩენილიყო, შვეიცარიელის რეკორდს იქნებ ათიოდე წელსაც ვერავინ გაჰკარებოდა. აკოლასთვის სწრაფდაშვება ყველა სხვა სახეობასავით ბუნებრივია და თუ იმას არ ჩავთვლიდით, რომ ოდნავ მობერებულია, ამოდტის ყველაზე საშიში მეტოქე ჩანდა.

ასეც მოხდა. სამშაბათის სწრაფდაშვებაზე აკოლამ ვეტერანის პირობაზე საუცხოოდ ისრიალა და კომბინაციაში ბრინჯაოს მედალი დაინარჩუნა, ხოლო საბრალო მილერმა მსოფლიო თასის უხეირო ტრადიცია განაგრძო. იგი სწრაფდაშვების პირველი სრიალისას წაიქცა და სლალომის მიღწევა წყალში ჩაეყარა. ამოდტმა სრულად გაამართლა პროგნოზები და დამაჯერებლად გაიმარჯვა, ხოლო მატი სწორედ პროგნოზების საწინააღმდეგოდ გავიდა მეორე ადგილზე.

და სადღაა ნახსენები ჰერმან მაიერი და სრულიად ავსტრიის სათხილამურო ნაკრები? რა უნდა ავსტრიას სანაკრებო ჩათვლის მეოთხე ადგილზე, უოქროსმედლოდ, ორი ვერცხლითა და ბრინჯაოთი? ამ არაბუნებრივი მდგომარეობის გამოსწორებას ევროპელი მთიელები მალე აპირებენ, ქალები სწრაფდაშვებაში ვარჯიშობენ, ხოლო სლალომის მესამეადგილოსანი შონფელდერი ასე ლაპარაკობს: „ეყოთ სხვებს და განსაკუთრებით ამერიკელებს, რაც ვაცადეთ. ერთმა ტრიუმფი მოიწყო (სუპერგიგანტის ჩემპიონი დერონ რალვსი იგულისხმება), ახლა ჩვენი დროა, გვიყურონ“. ერთადერთი ოქროს მედალი ავსტრიას უმალ საერთო ჩათვლის თავში გადააგდებს და მის მოპოვებას სამთოთხილამურობის კანონმდებლები შავი არშიით მკლავმოსილნი ეცდებიან — გუშინწინ ალოიზ ლიპბურგერის ტრაგიკული დაღუპვის ამბავი გაისმა.

ეს პიროვნება ავსტრიის ტრამპლინიდან მხტომელთა ნაკრების მწვრთნელი გახლდათ, 44 წლისა. იგი და ორი მხტომელი — ანდრეას ვიდჰოლზლი და მარტინ ჰოლვართი მანქანით მსოფლიოს თასის ეტაპიდან (გერმანულ ვილინგენში ჩატარდა) შინ ბრუნდებოდნენ, როცა მანქანა მოცურდა. საჭესთან ჰოლვართი იჯდა და ვერაფერი გააწყო, მანქანა ამობრუნდა. მწვრთნელი გარდაიცვალა, სპორტსმენები კი იღბლიანები გამოდგნენ. საჩქაროდ ორივე ჰოსპიტალში გააქანეს და ამ დროისთვის უკვე გაწერეს კიდეც, რახან ვერანაირი სერიოზული დაზიანება ვერ უპოვეს.

ტრაგედიის მიზეზებზე პოლიცია ჯერ არას ამბობს. „დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით — ამბობს გამომძიებელი, ელმარ ლეხნერი — მანქანა დასაშვებზე ჩქარა არ მიდიოდა, დაზარალებულებს ორგანიზმში ალკოჰოლი არ აღმოაჩნდათ, ხოლო თვითმხილველთა თქმით, მძღოლი შემხვედრი მანქანის აცილებასაც ცდილობდა“. გამოძიება გრძელდება.

**დავით ბულუა**

| კაცები. კომბინაცია |
| --- |
| 1. კეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) 2:58,25 |
| 2. მარიო მატი (ავსტრია) 2:58,93 |
| 3. პაულ აკოლა (შვეიცარია) 2:59,53 |
| 4. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) 2:59,89 |
| 5. ალესანდრო ფატორი (იტალია) 3:03,12 |




კეტილ ანდრე ამოდტი სამგზის მსოფლიოს ჩემპიონია

REUTERS





REUTERS

ამ ქალთან, ანჟელა ერმაკოვასთან საქმის დაჭერა ბორის ბეკერს ხათაბალად ექცა

# აქა ამბავი სხვადასხვა სიყვარულისა

**ბორის ბეკერის** შესახებ ამდენი გაზეთებში მაშინ არ დაწერილა, როცა გერმანელი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი იყო და ტურნირს ტურნირზე იგებდა. როგორც ეტყობა, უიმბლდონის სამგზის ჩემპიონის მოწოდებებისა და ფიზიკური მომზადების თავისებურებებზე მეტად ყველას ის აინტერესებს, რამდენ მილიონ დოლარს მიიღებს მასთან განქორწინების შემდეგ ბარბარა ფელტუსი, ვისთან და რა ვითარებაში ღალატობდა ვარსკვლავი აწ უკვე ყოფილ მეუღლეს და ვის ხვდება ამჟამად.

„ეს ნამდვილი ისტერიკაა. გერმანიის კანცლერ გერჰარდ შრიოდერს თუ არ ჩავთვლით, არავისთვის არ მიუძღვნიათ იმდენი სტატია გაზეთებში, რამდენიც ჩემთვის. ეს სიგიჟეა, რომელსაც მინდა, ბოლო მოვუღო. რამდენიმე კვირის წინ გადავწყვიტე, ყველა ფრონტზე მომეგვარებინა საქმეები. იმედი მაქვს, ამის შემდეგ ცოტა ხნით მაინც პირველ გვერდებზე სხვები წამოიჭიმებიან“ — განაუცხადა გერმანულ „ბილდს“ ბეკერმა.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა მართლაც არ დაიშურა ძალ-ღონე აწეწილი საქმეების მოსაგვარებლად: თავის „ბაბსის“ (ასე ეძახდა მოფერებით ბარბარას) 30 მილიონი მარკა და ძვირფასი ვილა გადაულოცა მაიამიში ერთად გატარებული 7 წლის ტკბილად მოსაგონებლად. მავანი რუსი ლამაზმანის მტკიცებების საპასუხოდ, ბორისი ჩემი 10 თვის ქალიშვილის მამააო, პირადად ჩავიდა ლონდონში და მამობის დასადგენი ტესტი გაიარა. ამ რამდენიმე დღის წინ კი, ჭორებისთვის ბოლო რომ მოეღო, საზოგადოებას ოფიციალურად წარუდგინა თავისი ახალი სატრფო — მომღერალი საბრინა სეტლური.

„მოხარული ვარ, რომ დამალობანას თამაში დასრულდა. მასმედიაში ატეხილი ხმაურის მიუხედავად ჩვენ ჯერჯერობით დაქორწინებას არ ვაპირებთ და ის არც ფეხმძიმედაა. სიმართლე ის გახლავთ, რომ ერთმანეთს სულ რამდენჯერმე შევხვდით დეკემბერს აქეთ, ისიც მალულად“ — გაანდო ჟურნალისტებს ჩოგბურთელმა ნიუ იორკის ერთ-ერთ მდიდრული სასტუმროში, სადაც ამჟამად სეტლურთან ერთად იმყოფება, მერე კი ფოტოგრაფების წინ ახალ მეგზურთან ერთად პოზირებაზეც დათანხმდა.

ბეკერი და გერმანიაში ფრიად პოპულარული რეპ-მომღერალი ჯერ კიდევ ორი თვის წინ გამოიჭირეს პირველად ერთად, თუმცა მაშინ ორივენი მხურვალედ უარყოფდნენ, რომ რომანი ჰქონდათ, სეტლურმა აღშფოთებითაც კი განაცხადა, რა არის, ძველ მეგობარს მძიმე წუთებში გვერდით ვერ უნდა დაუდგე, მაშინვე რომ არ გაგჭორონო. ალბათ, ზოგმა დაუჯერა კიდეც.

ამჟამად წყვილი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ბარბარასთან განქორწინების მიზეზი ბორისის მომღერალთან არშიყობა არ ყოფილა: „როცა საბრინას შევხვდი, ჩემი და ბაბსის ქორწინება უკვე დანგრეული იყო. 33 წლის ვარ და იმ მამაკაცთა კატეგორიას ვეკუთვნი, ვისაც გვერდით აუცილებლად უნდა ჰყავდეს ქალი. მე და საბრინას ქორწილზე არც გვიფიქრია, ამ წუთისთვის ისედაც ბევრი რამ ხდება ჩემს თავს“.

სეტლური ინდოელი ემიგრანტების შთამომავალია და თავის დროზე გერმანიის ყველაზე სექსუალურ ქალადაც ულიარებიათ. ბეკერებს ის შარშან მაისში, მონაკოში გამართულ წვეულებაზე გაეცნო, ბარბარასთან მშვენიერი ურთიერთობაც დაამყარა, თუმცა, თავისივე თქმით, მეგობრები არ გამხდარან. წყვილის დასაშორებლად მას არანაირი ხრიკებისთვის არ მიუმართავს, მაგრამ როგორც კი გაიგო, რომ ბორისი მეუღლეს სცილდებოდა, დრო არ დაუკარგავს.

„არ მინდოდა, სხვა ქალებისთვის შანსი მიმეცა — ხუმრობს მომღერალი — ბორისს დღიდან დღემდე სულ უკეთ ვეცნობი. ის შესანიშნავი ვინმეა, მაგრამ ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გამოდგება თუ არა, ამაზე ჯერ უნდა დავფიქრდე“.

სეტლურმა, ბუნებრივია, ისიც უარყო, რომ ბეკერს თავისი კარიერისტული მიზნებისთვის იყენებდა: „თუ ვინმე ასე ფიქრობს, მოვიდეს და პირში მითხრას, მერე საკადრის პასუხსაც მიიღებს. მე მომღერალი ვარ და არც მომავალში ვუღალატებ ჩემს საქმეს“.

ბეკერი თავის ახალ გელფრენდთან ერთად კიდევ კარგა ხანს აპირებს აშშ-ში დარჩენას და გერმანიის ცნობისმოყვარე მასმედიისგან დასვენებას. წყვილი მეგობრებთან ერთად სუპერ ბოულს დაესწრო, გუგენჰაიმის მუზეუმი მოინახულა და ბლომად მაღაზიებსაც დაესხა თავს. უახლოეს დღეებში ბორისი მაიამიში მცხოვრები ბარბარასა და თავისი ორი ვაჟიშვილის — ნოასა და ელიას ბალთაზარის მონახულებას გეგმავს, თუმცა გაიყოლებს თუ არა თან მათ ახალ დედიკოს, არაფერს იტყობინებიან.

ამასობაში კი ლონდონში ბეკერის დაუსწრებლად სასამართლო პროცესი დაიწყო პატარა ანა ერმაკოვას მამობის დასადგენად. ორშაბათს ინგლისის უზენაესი სასამართლოს საოჯახო საქმეების განყოფილებაში პირველი სხდომა შედგა უმნიშვნელო პროცედურული საკითხების დასადგენად. მოსარჩელე, რუსი ანჟელა ერმაკოვა სხდომას დაესწრო, ოღონდ ჟურნალისტებს არ გაესაუბრა, მხოლოდ სურათების გადაღებაზე დათანხმდა. თუ ამ სურათებით ვიმსჯელებთ, ბორისს დიდად დახვეწილი გემოვნება ნაღდად არ ჰქონია.

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რქებდამტვრეული ხარები



AP

კლიპერსი — ჩიკაგო. კეიონ დულინგმა ჩიკაგოელებს ჩაუგდო

5 თებერვალი

**ჰიუსტონი 100:86 ნიუ იორკი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (29 ქულა, 10 მოხსნა), მობლი (21), ოლაჯუონი (18)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (31)

**ფილადელფია 99:80 დენვერი**

ფილადელფია: აივერსონი (37), მაკი (11 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა)
დენვერი: მაკდაიესი (28 ქულა, 13 მოხსნა)

**ატლანტა 81:91 დალასი**

ატლანტა: ტერი (19), ჯონსონი (16)
დალასი: ნოვიცკი (22 ქულა, 11 მოხსნა), ეისლი (22)

**ტორონტო 110:98 ბოსტონი**

ტორონტო: კარტერი (29), ოკლი (18 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი)
ბოსტონი: პირსი (39), უოლკერი (17)

**სან ანტონიო 109:85 გოლდენ სტეიტი**

სან ანტონიო: დანკანი (24 ქულა, 12 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: ჯემისონი (29), კამინგსი (17)

**სიეტლი 95:82 ვანკუვერი**

სიეტლი: ბეიკერი (17)
ვანკუვერი: ბიბი (23), აბდურ-რაჰიმი (21 ქულა, 12 მოხსნა), დიკერსონი (16)

**კლიპერსი 102:82 ჩიკაგო**

კლიპერსი: ოლოვოკანდი (21), ოდომი (12 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი)
ჩიკაგო: ბრენდი (18 ქულა, 15 მოხსნა)

**ქარბ** თამაშთან ერთად თავისი თავნებობით, ჯიუტობითა და შავბნელი წარსულით (აწმყოთიც) „განთქმულმა" ალენ აივერსონმა კვლავ დაიგვიანა თავისი გუნდის, „ფილადელფიის" თამაშზე, თუმც ამჯერად საპატიო მიზეზი ჰქონდა. ფილადელფიას და საერთოდ ატლანტის ოკეანის პირა შტატებს ანტიციკლონმა გადაუქროლა და თან საშინელი ქარბუქი დაატეხა. ქალაქის თოვლით და მანქანებით ჩახერგილმა ქუჩებმა აივერსონის გარდა ბევრ სხვას შეუშალა ხელი დარბაზამდე მისვლაში, სტუმარი „დენვერ ნაგითსის" ავტობუსმა სულაც ოცი წუთი დააგვიანა. თამაში დაგეგმილ დროზე ნახევარი საათით გვიან დაიწყო და ცუდი ტაროსით გაწამებულ ფილადელფიელთათვის ამ მხრივ ყველაფერი კარგად დასრულდა.

იანვრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა აივერსონმა სტუმრებს მატჩის დასაწყისშივე თავს ზუსტი სროლების ისეთი კორიანტელი დაატეხა, რომ „დენვერი" წელში ველარ გაიმართა. მან ჩააგდო თამაშის პირველი შვიდი ქულა, პირველ მეოთხედში კი სულ 16 მოაგროვა და ეს თორმეტწუთეული თავის გუნდს 31:17 მოაგებინა. „დენვერი" ამაოდ ლამობდა ამ დეფიციტის აღმოფხვრას. მეორე მეოთხედში სტუმარმა ანტონიო მაკდაიესმა ერთ მონაკვეთში ზედიზედ შვიდი ქულა მოინაგრა და სხვაობა ექვს ქულამდე დაიყვანა — 39:33, მაგრამ „სიქსერზის" სათადარიგომ როდნი ბაფორდმა მაკდაიესის გალაღებას, აფეთქება მოაყოლა, ზედიზედ ექვსი ქულა გაახერხა და საბოლოოდ ჩაძირა სტუმრები.

„ფილადელფიას" მეზობელი, როგორც ტერიტორიულად ასევე გათამაშების ცხრილში და უახლოესი მდევარი „ნიუ იორკ ნიქსი", რომელსაც ეს დღეებია ძველი სახელი „ნიკერბოკერსი" დაუბრუნებია და „ნიქსზე" მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უარი უთქვამს, ტეხასში, ჰიუსტონში, იქაურ „როკიტსს" სტუმრობდა. შეხვედრის პირველი ნახევარი ჰიუსტონისა იყო, ოღონდ არა მასპინძელი გუნდის, არამედ ნიუიორკელი ალან ჰიუსტონის. თავისი პირველი მექულის წყალობით სტუმრებმა პირველი ტაიმი თორმეტი ქულის სხვაობით — 58:46 მოიგო და თავი ქუდში დაიგულა, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა მასპინძელთა მხცოვანი ცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონი. 38 წლის ტრავმებით დატანჯულმა ოლაჯუონმა ახალგაზრდობა გაიხსენა და სტუმართა კალათის აოხრებას მიჰყო ხელი. მან მესამე მეოთხედში 10 ქულა, სულ კი სეზონში სარეკორდო 18 მოინაგრა. ბებერი ჰაკიმის მხარდამხარ რიგიანად ირჯებოდა ჯეელი სტივ ფრენსის, რომელმაც ოლაჯუონის 10 ქულას მესამე მეოთხედში 14 შეაშველა და ეს თორმეტწუთეული „ჰიუსტონმა" — 34:12 მოუგო შოკში ჩავარდნილ მეტოქეს. „ნიუ იორკი" კარიერის დაისზე მყოფი ოლაჯუონის თავგამოდებამ ისე გაოგნა, ხეირიანი ბოლო მეოთხედშიც ვერაფერი შესთავაზა მეტოქეს. ჰაკიმის გაბრწყინება მარტო სტუმართათვის არ გახლდათ სიურპრიზი. გაოცებას ვერ მალავდა ფრენსისი: „38 წლის და 213-სანტიმეტრიანი „ბიჭის" კვალობაზე ჰაკიმმა მართლაც სწრაფად ირბინა, მე რომ ყოველდღე ასე დავრბოდე და ვთამაშობდე, სეზონის უძვირფასესი მოთამაშის წოდებას ვერავინ წამართმევს" — უთქვამს ნამატჩევს „ჰიუსტონის" გამთამაშებელს.

„ჰიუსტონის" თანაშტატელი „სან ანტონიო სფურზი" უსახურ „გოლდენ სტეიტს" მასპინძლობდა. ოქროსშტატელმა „მეომრებმა" სახელი გაამართლეს და მართლაც მეომრული შემართებით შეებნენ ექსჩემპიონებს, მაგრამ მხოლოდ პირველ მეოთხედში. საწყისი თორმეტწუთეულის 22:23 წაგებით განრისხებულმა „დეზებმა" „თავხედი" მეტოქის დასჯა გადაწყვიტეს და სურვილი სისრულეშიც მოიყვანეს. მეორე მეოთხედის შემდეგ „გოლდენ სტეიტი" 53:41 აგებდა, მესამის შემდეგ კი — 81:51. მეორე კი მასპინძლებმა უკვე განადგურებულ მეტოქეს სხვაობის ოდნავ შემცირების საშუალება მისცა.

5 თებერვალი მესამე ტეხასური გუნდის „დალასისთვისაც" იღბლიანი გამოდგა. „დალასი" „ატლანტას" სტუმრობდა და პირველი ნახევრის შემდეგ 50:36 აგებდა. მასპინძელთა ცენტრი დიკემბე მუტომბო მშვენიერ ფორმაში გახლდათ და სტუმართა ძირითად ცენტრს, ერთ დროს თანაგუნდელ კრისტიან ლეიტნერსაც ჯაბნიდა ფარქვეშ და მის 229-სანტიმეტრიან შემცვლელ შონ ბრედლისაც. მუტომბომ თამაშში „ქორებს" 21 მოხსნა მოუნაგრა, ორჯერ მეტი, ვიდრე ლეიტნერმა და ბრედლიმ ერთად, თუმც მუტომბოს თავგამოდება და მის მიერ მოპოვებული ფარქვეშა უპირატესობა მასპინძლებმა მხოლოდ პირველ ტაიმში გამოიყენეს, მეორეში კი „დალასი" აფეთქდა და სულ იოლად დაეწია თითქოს შორის გაფრენილ „ქორებს". მესამე მეოთხედის ბოლოს სტუმარმა ჰოვარდ ეისლიმ ზუსტი სამქულიანით „მავერიქსი" 68:66 გაიყვანა წინ, რის შემდეგაც სტუმრებს ლიდერობა აღარ დაუთმიათ.

„ტორონტოს" მფრინავ სუპერვარსკვლავ ვინს კარტერს ჯერაც აწუხებს ორი კვირის წინ ნატკენი ფეხი, რაც ხელს უშლის ნავარდში, თუმც ლაზათიანი ჩატენვების გარდა კარტერს შორი და საშუალო მანძილიდან სროლაც ეხერხება და მისი ხელის სიზუსტე „ბოსტონ სელტიქსმა" თავის თავზე იწვნია. კარტერს იმ დღეს არც ერთი ბურთი არ ჩაუტენია, სადაც პასს მიიღებდა, იქიდან ესროდა. მან ასე 29 ქულას მოუყარა თავი, „დინოზავრებს" „კელტები" გაათელინა და სტუმართა შორის იმ დღეს საუკეთესო პოლ პირსს 39 ქულა წყალში გადაუყარა.

პირველი და მესამე მექულის, გერი პეიტონისა და რუბენ პატერსონის გარეშე დარჩენილ „სეიტლს" პირველი სამი მეოთხედი ეჭიდავებოდა დასავლეთის უსუსტესი გუნდი, „ვანკუვერი". კანადური გუნდი ბოლო მეოთხედის წინ მხოლოდ ორი ქულით აგებდა, მაგრამ დასკვნით თორმეტწუთეულში, როგორც ხშირად ემართება, დაიბნა და 13 ქულით წააგო. აღსანიშნავია, რომ „ვანკუვერმა" სტუმრად ბოლოს 26 ნოემბერს გაიხარა, სიეტლში კი დაარსების დღიდან, ანუ 1995 წლიდან არ მოუგია.

როცა „ჩიკაგო ბულზი" ლიგას აზანზარებდა, „ლოს ანჯელეს კლიპერსი" ცხრილის ფსკერს ვერ შორდებოდა. ამ ბოლო ხანებში ნბა-ში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ „კლიპერსი" კვლავ რჩება ცხრილის ფსკერის ბინადრად. სამაგიეროდ, ერთ დროს დიადი „ჩიკაგო" ისე დაძაბუნებულა, რომ „კლიპერსთანაც" კი განადგურებისთვისაა განწირული. უკბილო ლოსანჯელესელებმა ისე გადაუარეს რქებდამტვრეულ „ხარებს", თვალიც არ დაუხამხამებიათ. როდესაც ჟურნალისტებმა „კლიპერსის" მწვრთნელს ელვინ ჯენთრის ჰკითხეს, ხომ არ შეგეცოდათ, როცა წარსულის დიდი ჩემპიონი ასე დავრდომილი იხილეთო, ჯენთრიმ უპასუხა: „ამ ლიგაში არავის არავინ არ ეცოდება. უბრალოდ, ეს არ ხდება. მე და „სან ანტონიოს" მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი დიდი მეგობრები ვართ, მაგრამ წინა კვირაში „სფურზმა" ყოველგვარი დანანების გარეშე ორჯერ საშინლად მოგვიგო".

ეს „ჩიკაგო ბულზისთვის" ზედიზედ მეთხუთმეტე წაგება იყო.

**ირაკლი ფირჯვილი**

## იანვრის საუკეთესო

### ალენ აივერსონი
### • ფილადელფია •



**გავიდა** იანვარი და თვის რჩეულთა დასახელების დროც დადგა. სადავო და საყოყმანო არაფერი იყო — ამ ტიტულს სხვებზე მეტად „ფილადელფია სიქსერზის" 183-სანტიმეტრიანი მსროლელ-გამთამაშებელი ალენ აივერსონი იმსახურებდა და ირგუნა კიდეც. პოპულარული ინტერნეტ-გვერდის, nba.com-ის ამასწინანდელ გამოკითხვაში, თუ ვინ იყო მიმდინარე რეგულარული ჩემპიონატის პირველი ნახევრის საუკეთესო მოთამაშე, გულშემატკივართა ყველაზე მეტი ხმა ალენ აივერსონმა მიიღო და ეს სწორედ იმის წყალობით, რომ იანვარში გაიბრწყინა.

იანვრის განმავლობაში ჩატარებულ თამაშებში აივერსონმა საშუალოდ 4,4 პასთან, 2,9 მოხსნასა და 2,67 ჩაჭრასთან ერთად 34,6 ქულა მოაგროვა, რითაც წინა თვეებში ბომბარდირთა სიის სიღრმეში ჩაკარგულმა მექულემ ამ მხრივ გვარიანად გაიუმჯობესა საქმე და მესამე ადგილამდე აღზევდა. ახლა მის წინ მხოლოდ ლეიკერსელი კობი ბრაიანტი და დეტროიტელი ჯერი სტეკჰაუზილა არიან და თუ ასე გააგრძელა, აივერსონი ამ ორსაც უკან მოიტოვებს. მე ყოველთვის პირველობა მწყურია. მესამე ადგილი რას მიქვია, მალე პირველი ვიქნებიო, იქადნება ფილადელფიელი. დღესდღეობით აივერსონის შედეგიანობაა მატჩში საშუალოდ 29,3 ქულა, რაც მხოლოდ 0,6 ქულით ჩამორჩება კობი ბრაიანტისას.

იანვრის რჩეულმა ამ თვის ექვს თამაშში 40-ქულიან ზღვარს გადააბიჯა, 6 იანვარს კი კლივლენდში იქაურ „კავალიერზს" ხუთწლიან კარიერაში სარეკორდოდ ბევრი, 54 ქულა ჩაუგდო. ეს ამ სეზონში არავის გაუკეთებია.

იანვრის საუკეთესო მოთამაშის ტიტულში აივერსონს ძირითადად საკრამენტოელი კრის ვებერი ეცილებოდა. თვის სხვა გამორჩეულ მოთამაშეთა სია კი ასე გამოიყურება: ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ანტონიო მაკდაიესი (დენვერი), გლენ რობინსონი (მილუოკი), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), ელტონ ბრენდი (ჩიკაგო), გერი პეიტონი (სიეტლი), ლამარ ოდომი (კლივერსი), ენტონი მეისონი (მაიამი), ტერელ ბრენტონი (მინესოტა), სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) და ჯუონ ჰოვარდი (ვაშინგტონი).

„მინესოტას" დამრიგებელმა ფლიპ სანდერსმა კი საკრამენტოელ კოლეგა რიკ ადელმანს და „მაიამის" თავკაც პატ რაილის აჯობა და იანვრის საუკეთესო მწვრთნელის ჯილდო მოიპოვა. სანდერსმა იანვარში „მგლებს" 16 თამაშიდან 12 მოაგებინა, ამასთან, ბოლო 8 — ზედიზედ, რაც კლუბის ისტორიული რეკორდი გახლავთ. იანვრის ბოლოს მოგებულ რვა მატჩს „მინესოტამ" თებერვალში ორიც დაუმატა.

თვის საუკეთესო ახალბედად კი ზედიზედ მეორედ აირჩიეს „გოლდენ სტეიტის" 208-სანტიმეტრიანი ცენტრი მარკ ჯექსონი, რომელიც იანვარში „მეომრებს" მატჩში საშუალოდ 17,2 ქულითა და 9,8 მოხსნით ეხმარებოდა. ჯექსონის მთავარი მოცილე გახლდათ „ორლანდო მეჯიქის" უკანახაზელი მაიკ მილერი.

# ღვინო, თრიაქი, სისწრაფე



კლიფ რობინსონი

**ყველაზე** ნამდვილად ვერ ვიტყვით, მაგრამ ნბა-ს მოთამაშეთა უმეტესობა პოლიციის გამოსაფხიზლებელი ოთახების ხშირი სტუმარია. ვინ მოთვლის, რამდენ ვარსკვლავსა თუ სუპერვარსკვლავს მოუწია გისოსებს მიღმა ყურყუტმა ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის, მარიხუანას ტრფიალისა თუ ქალის გაუპატიურება-გალახვის გამო. ამ ორშაბათს ანუ გუშინწინ, კიდევ ერთი ცნობილი მოთამაშე, „ფინიქს სანზის" ერთ-ერთი ლიდერი, თავდამსხმელი კლიფორდ რობინსონიც დააკავეს სამართალდამცავებმა. იგი საჭეს მთვრალი და თრიაქით გაბრუებული უჯდა. აი, რას ამბობს პოლიციელი სკოტ რიდი: „ორშაბათ ღამით, ორის ნახევარზე შევნიშნე მანქანა, რომელიც გზის იმ მონაკვეთზე დაშვებულ სიჩქარეს 25 კილომეტრ-საათით აჭარბებდა და ზიგზაგებით მიქროდა. ბედად, საპირისპირო მხრიდან მომავალი არავინ ჩანდა, თორემ ავტოკატასტროფა გარდაუვალი იყო. რომ გავაჩერეთ და კარი გავაღეთ, ალკოჰოლის ისეთი სუნი მეცა, ლამის წავიქეცი. მძღოლი ძლივძლივობით დავიყოლიეთ, მანქანიდან გადმოსულიყო. ვიცანით, კლიფი იყო (208-სანტიმეტრიან რობინსონს ფინიქსში ვინ არ იცნობს), მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს. კალათბურთელს თვალები ჩასისხლიანებული ჰქონდა. მანქანაში ვიპოვეთ მარიხუანის ცარიელი პაკეტი და პატარა მილაკი. შემდეგ კი რობინსონი განყოფილებაში წავიყვანეთ".

პოლიციის განყოფილებაში კალათბურთელი კარგა ხანს დავობდა და რამდენჯერმე უარიც განაცხადა სისხლის ანალიზის აღებაზე, თუმც ბოლოს შეასრულა სამართალდამცავთა მოთხოვნა. იგი სამი საათის შემდეგ გაუშვეს. რობინსონი თურმე მარტო არ ყოფილა, პოლიციას მასთან ერთად კიდევ ერთი კაცი დაუკავებია, მაგრამ რადგან იგი სავსებით ფხიზელი ყოფილა, მალევე გაუთავისუფლებიათ. ვინ იყო რობინსონის თანამგზავრი, ამას პოლიცია არ ამხელს, ხოლო მოგვიანებით, გამოფხიზლებულ კალათბურთელს უთქვამს, ჩემი ძმაკაცი იყო, რომელიც სხვა ქალაქში ცხოვრობსო.

რობინსონს სისხლისა და შარდის ანალიზი აუღეს, თუმც ტესტის შედეგები მხოლოდ რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი. თუ სისხლში ალკოჰოლის რაოდენობა დაშვებულ ნორმას აღემატება (ეს კი ნამდვილად ასე იქნება), ფინიქსელს მარტო საგზაო წესების დარღვევისთვის დაჯარიმებას არ აკმარებენ.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ გახლავთ, როდესაც „ფინიქსის" მოთამაშეს კანონთან პრობლემები ექმნება. ორიოდ კვირის წინ პოლიციამ „სანზის" ლიდერს, გამთამაშებელ ჯეისონ კიდს მაშინ მიუსწრო, როცა იგი ოთახში ჩაკეტილ ცოლს კარებს უნგრევდა და მის ცემას ლამობდა. მანამდე კი ანფერნი ჰარდევეი აიყვანეს სამართალდამცავებმა, რადგან კალათბურთელი თავისი რვა წლის შვილის დედას იარაღით ემუქრებოდა.

**ივანე ძოწიაშვილი**

## სლოვენია

XVII ტური

ტრიგლავი — ზაგორიე 89:77, ჰელიოსი — სავინსკი 84:57, კრაშკი ზიდარი — როგლა 69:82, პივოვარნა — ლოკა კავა 109:103

**კემოპლასტი 102:90 სლოვანი**

კემოპლასტი: მისირაჩა (31), კოჩარი (17), ნოვაკოვიჩი (12), როვშნიკი (9), პეტროვიჩი (7), კაპუეჯიჩი (5), ტომაზინი (2)

სლოვანი: ნოვაკი (9), ლაკოვიჩი (18), ჟაკელი (1), უზრიხელიძე (7), ჯურკოვიჩი (8), პავიჩი (15), მარავიჩი (19), კოკალი (5), ცქიტიშვილი (8)

**ოლიმპია 84:76 კრკა**

ოლიმპია: ბეჩიროვიჩი (20), ბრეზეცი (16), გოლემაცი (15), ჟუკაუსკასი (13), ზაგორაცი (12), ველში (5), კოტნიკი (2), ჯორდანი (1), ევანსი

კრკა: დონჩიჩი (18), კორტნი (15), დევისონი (12), პეტროვი (12), გრუმი (10), ანზულოვიჩი (7), დრობნიაკი (2), არაპოვიჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 17 | 16 | 1 | 1585:1138 | 33 |
| კრკა | 17 | 16 | 1 | 1474:1245 | 33 |
| პივოვარნა | 17 | 11 | 6 | 1531:1416 | 28 |
| სლოვანი | 16 | 10 | 6 | 1294:1251 | 26 |
| კრაშკი ზიდარი | 16 | 9 | 7 | 1252:1272 | 25 |
| კემოპლასტი | 17 | 7 | 10 | 1499:1516 | 24 |
| ჰელიოსი | 17 | 7 | 10 | 1349:1379 | 24 |
| როგლა | 17 | 7 | 10 | 1407:1472 | 24 |
| ტრიგლავი | 17 | 6 | 11 | 1280:1379 | 23 |
| სავინსკი | 17 | 5 | 12 | 1331:1514 | 22 |
| ზაგორიე | 17 | 4 | 13 | 1326:1512 | 21 |
| ლოკა კავა | 17 | 3 | 14 | 1333:1557 | 20 |




ოლიმპია — კრკა. ოლიმპიელი სლავკო კოტნიკი (№11) და ვლადიმირ ანზულოვიჩი

## საფრანგეთი

# მწვანეები გააწითლეს

XVI ტური

**გრაველინი — შალონი 83:75, ნანსი — ლე ავრი 91:66, ევრე — მონპელიე 70:78, შოლე — რასინგი 91:70, ბურგი — ვილერბანი 63:57, ანტიბი — სტრასბური 68:91, დიჟონი — ბეზანსონი 80:57, პო ორტეზი — ლე მანი 93:77**

**როგორც იქნა**, წააგო „ვილერბანმა" და საფრანგეთის მე-16 ტურის მიმოხილვაც, ცხადია, ამ ამბით უნდა დავიწყოთ.

აქამდე დაუმარცხებელი ლიდერის ძლევა არცთუ ძლიერმა „ბურგმა" შეძლო კვირა საღამოს. „მწვანეები" ბურგან-ბრესში სუპროლიგაში „ლიეტუვოს რიტასთან" სტუმრად ჩატარებული მატჩის შემდეგ დაღლილები კი ჩავიდნენ, მაგრამ ეს მათ წაგებას ნამდვილად არ ამართლებს. „ვილერბანის" წაფორხილების მთავარი მიზეზი, ალბათ, მოწინაალმდეგეს ჯეროვნად შეუფასებლობაა. პრო ბ-ში წლეულს გადასული „ბურგი" ციდან ვარსკვლავებს არც აქამდე წყვეტდა და არც ამის მერე მოწყვეტს, მაგრამ ცალი ხელით მოგებას მაინც არავის დაანებებს. თანაც სტუმრებმა პირველი ტაიმი ისე ძლიერად დაიწყეს, ლამის მაშინვე გაინაღდეს გამარჯვება, მერე მოეშვნენ და აკი დაისაჯნენ კიდეც.

საწყის მეოთხედში ვილერბანელები ჩვეულად ირჯებოდნენ, სროლათა უმეტესობას აგდებნენ, დაცვაში შეუვალნი იყვნენ და 24:8 დაწინაურდნენ. მერე ათწუთეულში ბურგელებიც ამოქმედდნენ. ჰოუელის მიერ ზედიზედ მოპოვებულ რამდენიმე ქულას (სულ მატჩში 20 ქულა) ბუევენმა ზუსტი სამქულიანი დაუმატა და ტაიმი მასპინძლებმა მხოლოდ 30:34 დათმეს.

შესვენების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების ლიდერმა ლორან სკიარამ არეული თამაშის დაწყობა კი სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვილერბანელები მოედანზე თითქოს ერთმანეთს ველარ პოულობდნენ და სათითაოდ ებრძოდნენ ერთ მუშტად შეკრულ მეტოქეს. მესამე მეოთხედის მიწურულს ანგარიში თანაბარი იყო და მასპინძლებიც სწორედ ამ დროს დაწინაურდნენ, რის შემდეგაც თავიანთ უპირატესობას კბილებით იცავდნენ. „მწვანეებმა" მხოლოდ ერთხელ მოახერხეს გათანაბრება (57:57), მაგრამ დარჩენილი დრო 0:6, მატჩი კი 57:63 წააგეს. „ვილერბანი" ასეთ შერცხვენას ნამდვილად არ ელოდა.

კვირასვე პოს სპორტული დარბაზი ლამის პირამდე შეივსო. რა თქმა უნდა, „პო ორტეზისა" და „ლე მანის" დაპირისპირება საინტერესო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ხალხი უფრო სხვა სანახაობამ მიიზიდა — მათ საფრანგეთის ჩემპიონატის ყველაზე მაღალი (გეორგ მურეშანი, 231 სმ) და დაბალი (შონტე როჯერსი, 161 სმ) კალათბურთელების დუელის ხილვა სურდათ. ჩია ამერიკელმა გამთამაშებელმა შეხვედრა მშვენივრად ჩაატარა და რუმინელი გოლიათის წინააღმდეგობის მიუხედავად, რამდენჯერმე ჩააგდო ბურთი კალათში. მან შეუცვლელად ითამაშა და თავის გუნდს 15 ქულით, 5 მოხსნითა და 6 პასით შეეწია.

მურეშანმა მოედანზე მხოლოდ 13 წუთი დაჰყო და ამდენივე ქულა გააზერხა. მესამე მეოთხედი „პო ორტეზის" ცენტრმა მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მეოთხეში კი ქულაც არ გაუკეთებია. სამაგიეროდ, პოელებმა მისი წყალბით ფარი პირწმინდად მოიგეს და თანაბარი პირველი ტაიმის (44:44) შემდეგ მეტოქის გატეხვა ბოლო წუთებში მაინც შეძლეს. მატჩის შემდეგ მურეშანმა და როჯერსმა მეგობრულად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, ოღონდ არ (თუ ვერ) გადაკოცნეს...




პო ორტეზი — ლე მანი. ლიგის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი მოთამაშეები: პოლი გეორგე მურეშანი (231 სმ) და შონტე როჯერსი (161)

წინა ტურში ჰავრში დამარცხებულმა „შოლემ" ამჯერად გაცილებით უკეთ იასპარეზა და შინ „რასინგს" აჯობა. ორივე გუნდს ჰყავდა ახალწვეული, რომელიც იმ დღეს პირველად უნდა ეთამაშებინა. თუმცა არც „შოლემ" კორი კროულერი და არც „რასინგმა" მირსად თურქჯანი ძირითად ხუთეულში არ დააყენეს. დებიუტში მასპინძლები დაეუფლნენ უპირატესობას, რაშიც პარიზელ მცველთა უნიათობაც დაეხმარათ. ერიკ ჟირარის შეგირდები მე-9 წუთზე უკვე 27:13 იგებდნენ და ტაიმი 46:35 დაასრულეს თავიანთ სასარგებლოდ. საფრანგეთის ნაკრებში ახლახან მიწვეულმა მიკუმ 17 ქულა ჩაუგდო დედაქალაქელებს, ფარზეც „შოლე" გაბატონდა (43:29) და შესაბამისად, საბოლოო ანგარიშიც სავსებით ლოგიკურია.

მოგება-წაგებები გაითანაბრა (8-8) „გრაველინმა", რომელმაც გარი ალექსანდერის (20 ქულა, 15 მოხსნა, 4 პასი) ძალისხმევით საკმაოდ მოულოდნელად „შალონს" სძლია. „ნანსიმ" „ლე ავრს" მოუგო, მისმა დერიკ ლუისმა კი 8 ჩაჭრა მიითვალა და ჩემპიონატის საუკეთესო შედეგი გაიმეორა. ზედიზედ მერვედ გაიხარა „სტრასბურმა" (ყველა ტურნირის ჩათვლით) და თუ ასე გააგრძელა, ჩემპიონობის მთავარ კანდიდატთა სიაშიც ჩაეწერება.

**გაგი გურული**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 15 | 14 | 1 | 1229:1033 | 29 |
| შალონი | 16 | 11 | 5 | 1158:1114 | 27 |
| სტრასბური | 15 | 10 | 5 | 1226:1088 | 25 |
| პო ორტეზი | 15 | 10 | 5 | 1229:1128 | 25 |
| ლე მანი | 15 | 10 | 5 | 1287:1231 | 25 |
| ნანსი | 16 | 9 | 7 | 1278:1234 | 25 |
| რასინგი | 16 | 9 | 7 | 1217:1197 | 25 |
| შოლე | 16 | 8 | 8 | 1283:1240 | 24 |
| ანტიბი | 16 | 8 | 8 | 1281:1273 | 24 |
| დიჟონი | 15 | 8 | 7 | 1156:1059 | 23 |
| გრაველინი | 15 | 7 | 8 | 1239:1244 | 22 |
| ბურგი | 16 | 6 | 10 | 1235:1298 | 22 |
| ევრე | 16 | 4 | 12 | 1241:1364 | 20 |
| ლე ავრი | 16 | 4 | 12 | 1156:1361 | 20 |
| მონპელიე | 15 | 3 | 12 | 1205:1366 | 18 |
| ბეზანსონი | 15 | 3 | 12 | 1087:1277 | 18 |

## თურქეთი

XV ტური

ბეშიქთაში — ბუიუქ კოლეჯი 75:69, ფენერბაჰჩე — ალთაი 100:79, ქომბასანი — ქარშიაქა 82:89, ტელეკომი — დარუშაფაკა 72:71, გალათასარაი — ეფესი 74:80, მაიდენოსი — ანტბირლიკი 86:69

**ტროი 79:95 ულქერი**

ტროი: საჯაკი (16), თინაი, კოჩი (4), ჩევიკი (8), ჩზმიჩი (16), დალი (8), ქანანი, დემირი (18), ჩეტინტაპრა (2), გორური (7)

ულქერი: ლოლისი (17), ერდოგანი (15), ჰენდლოგტენი (19), გოლიოვიჩი (28), ერდენაი (5), გიულერი, გონლუმი, ილდირიმი (7), სარიჯა (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 15 | 13 | 2 | 1354:1136 | 28 |
| დარუშაფაკა | 15 | 12 | 3 | 1211:1105 | 27 |
| ეფესი | 15 | 12 | 3 | 1261:1136 | 27 |
| ტელეკომი | 15 | 11 | 4 | 1241:1124 | 26 |
| ფენერბაჰჩე | 15 | 10 | 5 | 1217:1137 | 25 |
| ბეშიქთაში | 15 | 9 | 6 | 1260:1195 | 24 |
| ტროი | 15 | 9 | 6 | 1295:1259 | 24 |
| ქარშიაქა | 15 | 7 | 8 | 1297:1288 | 22 |
| ქომბასანი | 15 | 6 | 9 | 1209:1315 | 21 |
| მაიდენოსი | 15 | 5 | 10 | 1140:1176 | 20 |
| ბუიუქ კოლეჯი | 15 | 3 | 12 | 1188:1264 | 18 |
| ანტბირლიკი | 15 | 3 | 12 | 1183:1440 | 18 |
| გალათასარაი | 15 | 3 | 12 | 1142:1220 | 18 |
| ალთაი | 15 | 2 | 13 | 1125:1328 | 17 |

## ესპანეთი

XVIII ტური

ხირონა — კანტაბრია 103:60, უნიკახა — რეალი 75:68, ფუენლაბრადა — კახა სან ფერნანდო 77:78, კანარიასი — ხიხონი 85:71, ტაუ — ხუვენტუდი 85:65, პამესა — კასერესი 93:76, კოსტაბლანკა — ორენსე 83:69, ბრეოგანი — ბარსელონა 75:79, ესტუდიანტესი — ფორუმი 77:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 18 | 16 | 2 | 1647:1395 | 34 |
| პამესა | 18 | 14 | 4 | 1537:1386 | 32 |
| რეალი | 18 | 14 | 4 | 1467:1336 | 32 |
| ტაუ | 18 | 13 | 5 | 1570:1351 | 31 |
| უნიკახა | 18 | 13 | 5 | 1561:1373 | 31 |
| ფუენლაბრადა | 18 | 11 | 7 | 1544:1442 | 29 |
| ესტუდიანტესი | 18 | 10 | 8 | 1468:1478 | 28 |
| სან ფერნანდო | 18 | 9 | 9 | 1408:1421 | 27 |
| კასერესი | 18 | 9 | 9 | 1342:1398 | 27 |
| ფორუმი | 18 | 8 | 10 | 1490:1292 | 26 |
| ბრეოგანი | 18 | 7 | 11 | 1450:1495 | 25 |
| კანარიასი | 18 | 7 | 11 | 1370:1519 | 25 |
| ხირონა | 18 | 6 | 12 | 1399:1458 | 24 |
| ხუვენტუდი | 18 | 6 | 12 | 1445:1518 | 24 |
| ორენსე | 18 | 5 | 13 | 1356:1483 | 23 |
| კოსტაბლანკა | 18 | 5 | 13 | 1355:1521 | 23 |
| კანტაბრია | 18 | 5 | 13 | 1337:1544 | 23 |
| ხიხონი | 18 | 4 | 14 | 1386:1522 | 22 |

## საბერძნეთი

XIII ტური

არისი — ირაკლიონი 84:75, დაფნი — მილონი 95:70, მაკედონიკოსი — ირაკლისი 73:76, პანიონიოსი — ნიარ ისტი 95:78, პაოკ — ოლიმპიაკოსი 64:79, მარუსი — აეკ 92:85, პანათინაიკოსი — პერისტერი 83:74

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პერისტერი | 13 | 12 | 1 | 1032:932 | 25 |
| ოლიმპიაკოსი | 13 | 12 | 1 | 1111:931 | 25 |
| აეკ | 13 | 10 | 3 | 1066:952 | 23 |
| პანათინაიკოსი | 13 | 10 | 3 | 1077:957 | 23 |
| პანიონიოსი | 13 | 9 | 4 | 1125:997 | 22 |
| ირაკლისი | 13 | 7 | 6 | 1092:1085 | 20 |
| პაოკ | 13 | 7 | 6 | 992:981 | 20 |
| მარუსი | 13 | 6 | 7 | 1118:1120 | 19 |
| ნიარ ისტი | 13 | 4 | 9 | 1024:1076 | 17 |
| დაფნი | 13 | 4 | 9 | 1036:1054 | 17 |
| არისი | 13 | 4 | 9 | 989:1079 | 17 |
| ირაკლიონი | 13 | 3 | 10 | 1046:1165 | 16 |
| მილონი | 13 | 3 | 10 | 1058:1221 | 16 |
| მაკედონიკოსი | 13 | 0 | 13 | 978:1194 | 13 |

ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრი

გთავაზობთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნას, ურთიერთობების პრობლემების მოგვარებას. მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-26-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)

# სარბიელი
# სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

CROCO

### კროკოს ადმინისტრაციის განცხადება

ამჟამად კროკოს ბიუროები თბილისის გარდა მუშაობს მხოლოდ ქუთაისში (პუშკინის ქუჩა№16) გორში (სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი), თელავში (კოსტავას ქუჩა №23), რუსთავში (შარტავას ქუჩა №7), ბათუმში (მემედ აბაშიძის №21; ერას №16) და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ფირმა კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

### კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;

№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;

გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;

ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);

ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

წერეთლის გამზირი №11

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23. რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;

ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 001 | ევერტონი-ლიდსი | 2,8 | 2,9 | 2,4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფრანგეთი. 1-ლი დივიზიონი. 26-ე ტური**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 011 | მეცი-ბასტია | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 012 | პსჟ-გენგამი | 1,65 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 013 | სტრასბური-ლანსი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 014 | ბორდო-მონაკო | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 015 | ლილი-ნანტი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 016 | ოსერი-ტულუზი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 017 | სედანი-ტრუა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. 28-ე ტური**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 018 | ლე მანი-ბოვუა | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 019 | კაენი-კრეტეი | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 23.00 | 020 | შატორუ-გენიონი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 021 | ნიორი-ლავალი | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 23.00 | 022 | კანი-ლე ავრი | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 23.00 | 023 | ანჟე-ლორიანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 23.00 | 024 | მარტიგი-ნანსი | 2,8 | 2,7 | 2,4 |
| 23.00 | 025 | ნიმი-ნიცა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 23.00 | 026 | აიაჩო-ვასკალი | 1,8 | 2.9 | 4,4 |

8 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 027 | სოშო-მონპელიე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**გერმანია. თასის 1/2 ფინალი**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 030 | შტუტგარტი-შალკე | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ინგლისი. თასის 1/4 ფინალი. მე-4 ეტაპი. გადათამაშება**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 032 | დერბი-ბლექბერნი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 23.45 | 033 | ჩარლტონი-ტოტენჰემი | 2,2 | 3,0 | 2,9 |

**იტალია. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 034 | ფიორენტინა-მილანი | 2,1 | 3,0 | 3,3 |

8 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 035 | პარმა-უდინეზე | 1,7 | 3,1 | 4,7 |

**ესპანეთი. თასის 1/4 ფინალი. II მატჩები**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 036 | ატლეტიკო-გრანადა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 037 | მალიორკა-სელტა | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 038 | სარაგოსა-რასინგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 24.00 | 039 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**პორტუგალია. თასის 1/8 ფინალი. გადათამაშება**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 040 | ნასიონალი-სპორტინგი | 5,6 | 3,4 | 1,45 |

**ჰოლანდია. 1/4 ფინალი**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 041 | ვიტესი-ალკმაარი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 042 | ზვოლე-ტვენტე | 3,1 | 3,2 | 2,0 |
| 23.30 | 043 | როდა-პსვ | 4,0 | 3,2 | 1,7 |

**საბერძნეთი. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | პანილიაკოსი-აპოლონი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 22.00 | 045 | ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი | 1,75 | 3,0 | 4,4 |

**თურქეთი. თასის 1/2 ფინალი**

7 თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 046 | ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**8 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 22.30 047 | ბეშიქთაში-გენჩლერბილრიგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**შოტლანდია. ლიგის თასის 1/2 ფინალი**

**7 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.45 050 | სელტიკი-რეინჯერსი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**კალათბურთი**

**7 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.00 807 | ბოსტონი-მილუოკი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 04.00 808 | ფილადელფია-ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 04.30 809 | კლივლენდი-სან ანტონიო | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 04.30 810 | ნიუ იორკი-დალასი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 811 | ორლანდო-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 812 | მინესოტა-საკრამენტო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.00 813 | პორტლენდი-სიეტლი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 07.30 814 | გოლდენ სტეიტი-კლიპერსი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.30 815 | ლეიკერსი-ფინიქსი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 07.30 816 | ვანკუვერი-იუტა | 3,1 | 12,0 | 1,35 |

**8 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.30 817 | შარლოტი-ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 818 | დეტროიტი-ჰიუსტონი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 05.00 819 | ტორონტო-დენვერი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 05.00 820 | ნიუ ჯერსი-სან ანტონიო | 3,1 | 12,0 | 1,25 |

**კალათბურთი. სუპროლიგა**

**7 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.00 821 | რაანანა-ალბა | 2,0 | 12,0 | 1,4 |
| 21.00 822 | პლანია-ირაკლისი | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| 23.30 823 | ბაიერი-კრკა | 1,5 | 12,0 | 1,9 |
| 23.30 824 | ვილერბანი-ულქერი | 1,9 | 12,0 | 1,5 |

**8 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.00 825 | ეფესი-მაკაბი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 21.00 826 | ცსკა-ლიეტუვოს რიტასი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 21.00 827 | ცეპტერი-სპლიტი | 1,55 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 828 | პანათინაიკოსი-სიენა | 1,15 | 12,0 | 3,5 |
| 23.30 829 | ოსტენდე-პო ორტეზი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 830 | სკავოლინი-პარტიზანი | 1,4 | 12,0 | 2,3 |

**კალათბურთი. ევროლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩები**

**7 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.30 831 | მიულერი-ოლიმპიაკოსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 832 | ტაუ-პერისტერი | 1,35 | 12,0 | 2,3 |
| 23.30 833 | ბენეტონი-ბარსელონა | 1,35 | 12,0 | 2,3 |

**8 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21.30 834 | ჟალგირისი-აეკ | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 835 | ციბონა-ფორტიტუდო | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 836 | ბუდუჩნოსტი-რეალი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 837 | ესტუდიანტესი-კინდერი | 1,9 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 838 | ოლიმპია-პაოკ | 1,3 | 12,0 | 2,5 |

**ჰოკეი**

**7 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.00 909 | ბუფალო-აილენდერსი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 04.30 910 | ტორონტო-ატლანტა | 1,4 | 4,0 | 4,4 |
| 04.30 911 | პიტსბურგი-ფილადელფია | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 912 | ფლორიდა-მინესოტა | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 05.30 913 | დალასი-ედმონტონი | 1,5 | 4,0 | 3,4 |
| 06.00 914 | კოლორადო-ვაშინგტონი | 1,45 | 4,0 | 3,8 |
| 06.00 915 | ფინიქსი-კაროლინა | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.30 916 | ანაჰაიმი-ჩიკაგო | 2,1 | 4,0 | 2,1 |

**8 თებერვალი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 04.00 917 | ოტავა-ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 04.30 918 | დეტროიტი-ტორონტო | 1,8 | 4,0 | 2,5 |
| 05.00 919 | სენტ ლუისი-ტამპა ბეი | 1,3 | 4,0 | 5,6 |
| 05.00 920 | ნეშვილი-კოლუმბუსი | 1,6 | 4,0 | 3,0 |
| 07.00 921 | ვანკუვერი-სან ხოსე | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 07.30 922 | ლოს ანჯელესი-კაროლინა | 1,75 | 4,0 | 2,6 |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# რაგბის პაროდია



AFP

საფრანგეთი — შოტლანდია. ფრანგმა რიშარ დურთმა ხელგაშლილმა გააცილა თანაგუნდელი ფილიპ ბერნა-სალი მეტოქის ლელოსკენ

**საფრანგეთი 16:6 შოტლანდია**

**საფრანგეთი: გარბაჟოზა; ბერნა-სალი, დურთი (მერსერონი), კომბა, ბორი; ლამეზონი, გალტიე; მარკონე (კალიფანო), იბანესი, დე ვილიე, ორადუ (ბენაზი), პელუ, მონი (ბეტსენი), მანი, ჟუიე**
**1 ლ: ბერნა-სალი; 1 გ: ლამეზონი; 3 ს: ლამეზონი (3)**
**შოტლანდია: პატერსონი; კ. მიურეი, მაკლარენი (ა. ბალოკი), ჯ. ლესლი, ლოგანი; თაუნსენდი (ჰოჯი), ნიკოლი (რედფალსი); სმიტი, გ. ბალოკი (რასელი), სტიუარტი (მაკილვემი), ს. მიურეი, მეტკალფი გრაიმსი), მ. ლესლი, პუტნი, პეტრი (უაიტი)**
**2 ს: ლოგანი (2)**

**საფრანგეთის** ნაკრების თითქმის ყველა ქომაგი შოტლანდიასთან იოლი და დიდი ანგარიშით გამარჯვებას გეგმავდა, თუმც იმედები გაცრუვდა. სკოტების შერკინება მშვენივრად გაისარჯა, მათი დაცვა საკმაოდ მაღლა ხვდებოდა მეტოქეს და ამიტომაც გასაკვირად უნიათო საფრანგეთი საწყის ოცდაათ წუთში პირწმინდად დაიჩაგრა. და თუ სტუმრები თავიანთი გარჯისათვის ლელოთი არ დაჯილდოვდნენ მხოლოდ მათი უიღბლობის და მეტოქის რამდენიმე წევრის დაცვაში თავგანწირული თამაშის ბრალია. თანაც, შოტლანდიელთა სამწუხაროდ, მათი გარე ნახევარმცველი გრეგორ თაუნსენდი, რომელიც ნაკრებში ერთ-ერთი უძლიერესია, მატჩის დასაწყისშივე დაშავდა. მან მარჯვენა მუხლი იტკინა და შესაცვლელი გახდა.

ფრანგები რაღაც რაგბის პაროდიას უფრო თამაშობდნენ, ვიდრე თავად რაგბის. ისინი დერეფანს უმეტესად აგებდნენ, ელემენტარული პასების დროს ბურთს წინ ისროდნენ და შეტევის ორგანიზებას ვერაფრით ახერხებდნენ. არადა, მათი ფრთები, ფილიპ ბერნა-სალი და დავიდ ბორი მუდმივად კარგად იხსნებოდნენ, მაგრამ პასებს არავინ აძლევდათ. ამიტომაც შოტლანდია უფრო სახიფათოდ უტევდა და მისმა ფრთამ კენი ლოგანმა ორი საჯარიმოც გაიტანა მე-7 და მე-15 წუთებზე, რომელთა შუაში თავის გამოჩენა კრისტოფ ლამეზონმაც შეძლო.

„მამლებმა“ პირველად ნახევარი საათის თავზე იყივლეს, როცა ბერნასალმა ბურთი მეტოქის ლელოს კუთხეში დაამიწა. თუმცა ერთი შეხედვით ჩანდა, რომ სკოტთა მცველმა ბოლო მომენტში მისი მინდვრის ფარგლებს გარეთ გადაგდება შეძლო და მსაჯმაც ვიდეოს მიმართა, რის შემდეგაც ავსტრალიელმა დიკინსონმა ლელო არ ჩათვალა, თუმცა ფრანგები მისი გადაწყვეტილების სისწორეში ჯერაც არ დარწმუნებულან.

ტაიმის ბოლოს ორივე გუნდი საკმაოდ ხშირად არღვევდა თამაშის წესებს, მაგრამ დამრტყმელებმა ამით ვერ იხეირეს. ლამეზონმა მხოლოდ ერთი საჯარიმოს ზუსტად შესრულება შეძლო და ანგარიშში წონასწორობა მეორედ აღადგინა. ზედ ტაიმის მიწურულს კი ისევ ბერნა-სალმა გამოიჩინა თავი — იგი ფრთაზე გაიჭრა და ლელოს მხოლოდ იმიტომ ვერ უწია, რომ მარტინ ლესლიმ დაშვებულზე მაღალი შებოჭვით კინაღამ თავი წააცალა. სკოტთა შერკინების მესამეხაზელი მსაჯმა სამართლიანად დასაჯა ყვითელი ბარათით და შესაბამისად, ათწუთიანი გაძევებით.

ასე რომ, მეორე ორმოცწუთეული შოტლანდიამ რიცხობრივ უმცირესობაში დაიწყო და მატჩის ერთადერთი ლელოც სწორედ მაშინ გაუშვა. 42-ე წუთზე ფრანკ კომბამ ბრწყინვალე თამაშის შემდეგ ბერნა-სალს მოაწოდა ბურთი, რომელიც სამ სკოტს სასწაულებრივ დაუსხლტა ხელიდან და მეტოქეც დაალელოვა.

აქედან მოყოლებული, საფრანგეთმა მატჩის სადავეები ხელთ იგდო და სავსებით გარდაქმნილმა (უკეთესობისკენ) გააფთრებით შეუტია. სადღა იყო პასების დროს წუნი, ან სხვა შეცდომები, თუმცა შოტლანდიელები მედგრად იცავდნენ თავს და „სტად დე ფრანსზე“ თავმოყრილ მაყურებელს მეტი ლელოს ხილვა მაინც არ ეღირსა.

შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მასპინძლები კვლავინდებურად მხოლოდ 7 ქულით იყვნენ წინ ანუ სტუმრებს ერთი გარდასახული ლელო სჭირდებოდათ ანგარიშის გასათანაბრებლად. ჰოდა, მათაც უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ. როლები შეიცვალა. ახლა შოტლანდია უტევდა და საფრანგეთი გაჭირვებით იცავდა თავს. ბერნარ ლაპორტს ლამის ხმისჩახლეჩამდე ყვირილი დასჭირდა თავის შეგირდების შესაფუცხუნებლად და მათაც არ მისცეს მოწინააღმდეგეს ლელოს გატანის უფლება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფრანგთა საბედნიეროდ, იმ დღეს მათი მოწინააღმდეგე ინგლისი ან თუნდაც ირლანდია არ იყო, თორემ როგორ არ გაატანინებდნენ ლელოს, მაგასაც ვნახავდით.

მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი ლამეზონმა მესამე საჯარიმოც შეაგდო და თავისიანებს გამარჯვება დაუბევა.

ძნელი სათქმელია, ორ კვირაში ასეთივე თამაშით შეძლებს კი საფრანგეთი ირლანდიაში გამარჯვებას?

# უელსი მწვანე ტყეში დაიკარგა

**უელსი 15:44 ინგლისი**

**უელსი: ს. ჯონსი; ტომასი (მ. ჯონსი), ტეილორი (ბეიტმენი), გიბსი, ჯეიმსი; ჯენკინსი, ჰოული (მუნი); მორისი (ჯონი), მაკბრაიდი, იანგი, გაფი, ვაიატი (მური), ჩარვისი, უილიამსი, ქვინელი**
**2 ლ: ჰოული, ქვინელი; 1 გ: ჯენკინსი; 1 ს: ჯენკინსი**
**ინგლისი: ბოლშოუ (პერი); კოენი, გრინვუდი, კატი (ტინდალი), ლაგერი (ა. ჰილი); უილკინსონი, დოუსონი; ლენარდი (ვუდმენი), გრიტი, ვაიკერი, ჯონსონი, გრივკოკი, რ. ჰილი, ბეკი, დალალიო (კორი)**
**6 ლ: გრინვუდი (3), დოუსონი (2), კოენი; 4 გ: უილკინსონი (4); 2 ს: უილკინსონი (2)**

**ფავორიტი**, რა თქმა უნდა, ინგლისი იყო. ძალიან მაღალი დონის ჩემპიონატი, გაცილებით მეტი გამოცდილება, სამხრეთელ ბობოლათა ბოლო დროს დაჩოქება — აი, არგუმენტები, რომლებიც „მილენიუმზე“ მისი გამარჯვების თითქმის უეჭველობაზე ღაღადებდნენ. თუმცა მატჩის დაწყებამდე მაინც ბევრი ფიქრობდა, რომ სავსებით შესაძლებელი იყო, სიურპრიზი მომხდარიყო. უელსური კლუბები ამ ბოლო დროს ევროპის თასზე საკმაოდ წამოიქაჩნენ და თანაც 70 ათასზე მეტი ქომაგის მხარდაჭერაც სათვალავში იყო ჩასაგდები. შეიძლებოდა, „წითლებს“ 1999 წლის მსგავსად, მოულოდნელად გაემარჯვათ.

ყველაფერი კი ლოგიკის შესაბამისად წარიმართა. მასპინძლებმა ოდენ ორი ლელოთი უპასუხეს სტუმართა ექვს ლელოს, მათმა დამრტყმელმა ნილ ჯენკინსმაც არატრადიციულად უზუსტოდ უბრაგუნა ოვალურ ბურთს და საბოლოოდ ანგარიშში სხვაობამ 29 ქულას მიაღწია, რაც ნამდვილად ძალიან ბევრია. ერთი სიტყვით, უელსი განადგურდა, მიწასთან გასწორდა, მისი ჯალათი ინგლისი კი ტურნირის უპირველესი ფავორიტი შეიქნა, განსაკუთრებით საფრანგეთის შოტლანდიასთან არადამაჯერებელი თამაშის ფონზე.

რაც შეეხებათ უელსელებს, ასეთი ცივი შხაპის შემდეგ მათი მომავალი საკმაოდ ბურუსითაა მოცული. ორ კვირაში ისინი შოტლანდიას ესტუმრეიან, რომელიც მოსალოდნელზე კარგ ფორმაში ყოფილა და თუ იქაც წააგეს „წითლებმა“, მათ მეხუთე, ანდა მეექვსე ადგილი ელით, რაც კატასტროფის ტოლფასია. შაბათის მწარე წამალი კი მათ მხოლოდ ნილ ჯენკინსის მიღწევამ დაუტკბო ოდნავ...

მატჩი მასპინძლებმა აღმაფრენით დაიწყეს და უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მსაჯები იძულებულნი გახდნენ, ვიდეოარბიტრისთვის დახმარება ეთხოვათ. უელსის შეტევის განმეორებით ხილვის შემდეგ ფრანგმა შავოსანმა, ბატონმა დიუმემ ფრთა დევიდ ჯეიმსის ლელოს ჩათვლა არ ინება. დაახლოებით ათი წუთი დასჭირდათ სტუმრებს თამაშის სადავეების ხელში ასაღებად.

მეთორმეტე წუთზე ინგლისის სამეოთხედელების მშვენიერი კომბინაცია უილ გრინვუდმა, რომლის გვარი ქართულად „მწვანე ტყეს“ ნიშნავს, დააგვირგვინა. „ჰარლიკვინსის“ ცენტრმა სამ წუთში მეორედაც დაალელოვა მეტოქე და ვინაიდან უილკინსონმა მხოლოდ პირველი გარდასახვა შეაგდო, ანგარიში 0:12 გახდა.

უელსის პასუხმაც არ დააყოვნა და ჯენკინსის და უილკინსონის მიერ გაცვლილ ზუსტ საჯარიმოებს, 22-ე წუთზე რობერტ ჰოულის ბრწყინვალე ლელო მოჰყვა, რომლის დროსაც მასპინძელთა შერკინების ნახევარმცველმა ბურთით ხელში ლამის 50 მეტრი გაირბინა. თითქოს თამაში გათანაბრდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. „თეთრების“ დაცვა ამის შემდეგ წითელგაუმტარი გახდა, ჯენკინსიც ბევრს სცოდავდა დარტყმებისას და ანგარიში მხოლოდ ინგლისის სასარგებლოდ იცვლებოდა.

სტუმართა მე-9 ნომერმა მეტ დოუსონმა 31-ე წუთზე საჯარიმო სწრაფად გაათამაშა, მოწინააღმდეგის დაცვა კარაქივით გაჭრა და თავიც გამოიჩინა — რამდენიმე წუთში იგივე იმავე წარმატებით გაიმეორა, უილკინსონმა ორივე ლელო გარდასახა და ტაიმი 8:29 დამთავრდა.

თამაშის განახლებისთანავე გრინვუდმა ჰეთ თრიქი შეასრულა, მე-60 წუთში ბენ კოენმაც დაალელოვა მასპინძლები, უილკინსონმაც ხუთი ქულა მოინადირა და ანგარიში 8:44 გახდა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. თუმცა უელსმა მალევე შეძლო შებღალული ღირსების ცოტათი აღდგენა, რადგან მისმა კაპიტანმა სკოტ ქვინელმა ძალისმიერი ლელო გაიტანა, რასაც ჯენკინსის გარდასახვა მოჰყვა, რომელიც ცალკე აღნიშვნის ღირსია.

„კარდიფის“ დამრტყმელს ამ გარდასახვამდე თავისი ქვეყნის ნაკრებისა და „ბრიტანელი ლომების“ მაისურით გამართულ ტესტებში 999 ქულა დაეგროვებინა და ამ ორი ქულით 1000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. ასე რომ, ნილ ჯენკინსი პირველი მორაგბე გახდა სანაკრებო დონეზე, რომელსაც 1000 ქულაზე მეტი მოუგროვებია, რაც ბრწყინვალე შედეგია.

შეხვედრის დასასრული საკმაოდ უინტერესო გამოდგა. ორივე გუნდის მორაგბეები დაღლილიყვნენ, მატჩის ბედი გადაწვეტილიყო, ამიტომაც თავს ზედმეტად აღარავინ იწუხებდა. ჰოდა, ასე მშვიდად ჩამთავრდა მატჩიც, რომელიც რაგბის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს დაიჭერს ჯენკინსის მიღწევის გამო.

# ჯენკინსის ათასეული

„ექვსი ერის ჩემპიონატის“ პირველ ტურში უელსის ბეკმა ნილ ჯენკინსმა შედეგიანობის ისტორიულ ზღვარს უწია — გახდა პირველი მორაგბე, რომელმაც სანაკრებო კარიერაში 1000 ქულა დააგროვა.

გთავაზობთ იმ მორაგბეების სიას, რომლებმაც სანაკრებო კარიერაში პირველებმა მიაღწიეს სხვადასხვა სარეკორდო ნიშნულს.



EMPICS

ნილ ჯენკინსმა ამ დარტყმით სანაკრებო კარიერაში სარეკორდო, მეათასე ქულა გატყეთა

| ქულა | მოთამაშე | ქვეყანა | თარიღი | ვის წინააღმდეგ |
|---|---|---|---|---|
| 100 | მიშელ ვანიე | საფრანგეთი | 15.12.1957 | რუმინეთი |
| 200 | დონ კლარკი | ახალი ზელანდია | 22.08.1964 | ავსტრალია |
| 300 | ენდი ირვინი | შოტლანდია | 08.07.1982 | ავსტრალია |
| 400 | მაიკლ ლაინაფი | ავსტრალია | 08.07.1989 | ბრიტანეთი |
| 500 | მაიკლ ლაინაფი | ავსტრალია | 30.06.1990 | საფრანგეთი |
| 600 | მაიკლ ლაინაფი | ავსტრალია | 27.07.1991 | ინგლისი |
| 700 | მაიკლ ლაინაფი | ავსტრალია | 13.12.1992 | შოტლანდია |
| 800 | მაიკლ ლაინაფი | ავსტრალია | 11.06.1994 | ირლანდია |
| 900 | მაიკლ ლაინაფი | ავსტრალია | 11.06.1995 | ინგლისი |
| 1000 | ნილ ჯენკინსი | უელსი | 04.02.2001 | ინგლისი |

# არშემდგარი დაბრუნება

**იტალია 22:41 ირლანდია**

**იტალია: სტოიკა; პილატი (გალონი), მარტინი (პოცებონი), რაინერი, დალანი; პეძი, ტრონკონი; ლო ჩიჩერო, მოსკარდი, მურარო (დე კარლი), ვიზერი, კეკინატო (ლანძი), კაიონე, ბერგამასკო, დალ მაზო (ფრატი)**
**3 ლ: პილატი, კეკინატო, ბერგამასკო; 2 გ: პეძი (2); 1 ს: პილატი**
**ირლანდია: დემპსი; ჰორგანი, მულინზი (მაგსი), ჰენდერსონი, ჰოუი (ჰამფრიზი); ოგარა, სტრინგერი (ომეარა); კლოჰესი, ვუდი (შოანი), ჰეიესი (ბირნი), გოლვეი (დევიდსონი), ოკენი, ქვინლანი, უოლესი, ფოლი (უარდი)**
**5 ლ: ჰენდერსონი (3), ჰორგანი, ოგარა; 2 გ: ოგარა (2), 4 ს: ოგარა (4)**

**ყველაზე** დიდი მოულოდნელობა ჯერ კიდევ მატჩამდე მოხდა. მასპინძელთა შემადგენლობაში არ იყო მათი ყველაზე შედეგიანი მორაგბე დიეგო დომინგესი. არგენტინული წარმოშობის დამრტყმელი „სკუადრა აძურას“ შარშან ოფიციალურად გამოეთხოვა, მაგრამ წლეულს ტურნირის დაწყებამდე ორიოდ კვირით ადრე იტალიის რაგბის ფედერაციამ იგი ახალ კონტრაქტზე დაიყაბულა და ირლანდიასთან უნდა ეთამაშა კიდეც, რისიც დიდად ეიმედებოდა აპენინელთა ახალზელანდიელ თავკაც ბრედ ჯონსტონს. თუმცა ფრანგული „სტად ფრანსეს“ წევრი ევროპის თასის მეოთხედფინალში „პოსთან“ დაშავდა და შაბათისთვის ვერ განიკურნა. ამიტომაც დომინგესის ნაკრებში დაბრუნება გადაიდო.

იტალიელებმა შეხვედრა რიხიანად დაიწყეს და ირლანდიელებს ბევრი თავსატეხიც გაუჩინეს. თუმცა დომინგესის არყოფნაში დამრტყმელად ქცეულმა რამირო პეძმა რამდენიმე საჯარიმო გააცუდა და მეტოქეს 6:3 დაწინაურების საშუალება მისცა. 26-ე წუთზე კორადო პილატმა მატჩის პირველი ლელო გაიტანა და თავისიანები პირველად და უკანასკნელად დააწინაურა. მერე ოგარამ მესამე საჯარიმო გაიტანა (8:9) და თითქოს ტაიმიც ამ ანგარიშით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ 39-ე წუთზე მასპინძელი მურარო 10 წუთით გააძევეს და...

ჯერ რობ ჰენდერსონმა აიცილა ორი შებოჭვა და თავისი პირველი ლელო გაიტანა. ოგარამ გარდასახა და ზედ საჯარიმოც დაურთო. უმცირესობაში მყოფმა იტალიელებმა კი ვიდეო-არბიტრის დახმარებით შეამცირეს ანგარიშში სხვაობა.

შესვენებაზე სტუმართა თავკაცმა უორენ გეტლენდმა, ეტყობა, გვარიანად შეახურა თავისი შეგირდები, რომლებიც მოედანზე სრულიად შეცვლილნი დაბრუნდნენ და მსწრაფლ იწყეს იტალიელთა რბევა. განსაკუთრებული სისასტიკე ჰენდერსონმა გამოიჩინა, რომელმაც კიდევ ორჯერ შეძლო მეტოქის დალელოვება. მალე „სამყურები“ 36:15 დაწინაურდნენ.

იტალიას შერკინების ნახევარმცველი ტრონკონი გაუგდეს. 78-ე წუთზე ოგარამ ლელო გაიტანა, რასაც „სკუადრა აძურამ“ უპასუხა და ანგარიშში სხვაობა ცოტათი შეამცირა.

**ბაჩო ბურული**

## ხუთ რგოლში

# ღიმილი, აი, კიდევ ერთი პრობლემა

## ბერძნებმა ქუდზე კაცს უხმეს

**ბერძნებმა** განგაშის ზარი შემოკრეს, არიქა, ფეხზე დავდგეთ, თორემ სირცხვილს ვერ გადავურჩებითო.

მოგეხსენებათ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არაერთხელ გააფრთხილა ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი, თქვენს მიერ წარმოებული სამუშაოები დიდი დაგვიანებით მიმდინარეობსო. შეუთვალეს კიდეც, თუ გეგმით გათვალისწინებულ დროში არ ჩაეტევით, მაშინ ათენი ოლიმპიადის მასპინძლობის პატივს დაკარგავს და მას სიდნეის გადავულოცავთო.

შეფუცხუნდნენ ბერძნები. ეძგერნენ ბარს, ნიჩაბს, წერაქვს; ააგრუხუნეს ტრაქტორები და მუშაობა გააჩაღეს.

მაგრამ სადაა მოხალისეთა რაზმები? მათ გარეშე ხომ კრახისთვისა ვართ განწირულებიო და ქუდზე კაცს უხმეს, რადგან თუ არა მოხალისეები, მაშინ ვინ დააკვალიანებს ათი ათას ოლიმპიელს, ჟურნალისტთა არმიას, საპატიო სტუმრებს... ისინიც ადგნენ და ოლიმპიადის მოხალისეთა პროგრამით 60-ათასამდე ადამიანს უხმეს.

„მოვუწოდებ ყველა ბერძენს, მთელ ერს და მსოფლიოს, რათა ჩვენს მოწვევას გამოეხმაურონ. ამას იმსახურებს ოლიმპიური იდეალები, ჩვენი ქვეყანა და თქვენც". ასე უხმო ქუდზე კაცს საბერძნეთის პრემიერ მინისტრმა კოსტას სიმიტისმა.

სკეპტიკოსები ვარაუდობენ, რომ მოხალისეთა მოზიდვა საკმაოდ რთული იქნება, რადგან ქვეყანას ამის ტრადიციები და გამოცდილება არა აქვს. ამის თაობაზე ერთი წლის წინათ ეჭვობდა თეოდოროს პანგალოსიც მანამ, სანამ კულტურის მინისტრობიდან გადააყენებდნენ.

„ღიმილი, აი, კიდევ ერთი პრობლემა!" — განაცხადა ათენის თამაშებზე პასუხისმგებელმა პირმა და განმარტა, თანამემამულეთა გაღიმება არც ისე იოლი საქმეაო.

ასეა თუ ისე, შიდა შეხლა-შემოხლამ, საორგანიზაციო საქმიანობის შეფერხებამ და აღმასრულებელ პირთა გადადგომა-გადმოდგომებმა, გარკვეული როლი ითამაშეს ათენის ოლიმპიადის იმიჯის შესარყევად. ამიტომაც, სიმიტისის თქმით, საბერძნეთის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ახლა მისი გაუმჯობესებაა, რათა ამით მიიზიდოს მოხალისეები.

სხვათა შორის, ორგანიზატორები ბერძენთა დიასპორასაც გადაწვდნენ. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ადგილობრივ მოხალისეთა რაზმი მათ გააწბილებს.

# ლონდონი ჰეთ თრიკს შეიზნებს

**ოლიმპიური** თამაშების მასპინძლობა მდიდარ სახელმწიფოთა ხვედრია. ასე რომ არ იყოს, მაშინ ოლიმპიური თამაშების მასპინძელთა შორის ვიხილავდით ერთ-ორ აფრიკულ სახელმწიფოთა ქალაქსაც, რადგან ამ კონტინენტს ასეთი ასპარეზობა ჯერ არ სწვევია.

აი ახლაც, 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ჯერ არ გამოვლენილა, რომ ასეთი სურვილით შეპყრობილი ლონდონი 2012 წლის თამაშების სამასპინძლოდ ისწრაფვის და მთავრობასაც ალუთქვია დახმარება.

„ხელისუფლებამ სამუშაო ჯგუფთან შეერთება ივალდებულა — განაცხადა ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის (ბოა) თავმჯდომარემ კრეიგ რიიდიმ და იქვე დასძინა, მიუხედავად ამისა, ლონდონის მერის თანხმობის გარეშე მაინც ვერას გავხდებითო, მაგრამ არც ეს ყოფილა საკმარისი.

საქმე ისაა, რომ ლონდონისთვის 2012 წლის კამპანიის წამოწყება დამოკიდებულია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ივლისის კენჭისყრაზე, რომლემაც პეკინს ტორონტოსა და პარიზს შორის 2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლობის ღირსი უნდა გამოავლინოს. იმ შემთხვევაში, თუ სოკ-ის ხმათა უმრავლესობა პარიზის სასარგებლოდ გადაწყდება, მაშინ შანსი იმისა, რომ 2012 წელსაც ევროპამ უმასპინძლოს ოლიმპიურ თამაშებს, ძალზე მცირდება. მეტიც, არათუ მცირდება, არარეალურიც კი ხდება, რადგან ბებერ კონტინენტზე ოლიმპიადის ზედიზედ სამჯერ გამართვა სხვა კონტინენტის სახელმწიფოთა გულისწყრომას გამოიწვევს.

საინტერესოა, რომ ბრიტანეთის დედაქალაქს ამ უდიდესი სპორტული ასპარეზობისთვის ორჯერ უმასპინძლია, პირველად 1908, მეორედ კი 1948 წელს, ახლა კი ჰეთ თრიკის შესრულება სურს და ამისთვის 2012 წელი დაუგულებიათ.

თუ ხელი მოგვეცარა, მაშინ იქნებ 2016 წელს მაინც გაგვიმართლოსო, ამბობენ ლონდონელები.

# ასი თვალი და ასი ყური ბუშისთვის

**ოლიმპიურ** თამაშებზე სხვა მრავალთან ერთად ერთ-ერთი უმთავრესი სპორტსმენთა, საპატიო სტუმართა თუ გულშემატკივართა უსაფრთხოების ნორმების დაცვაა. ასი თვალი და ასი ყურია საჭირო, რათა ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიაროს. მაგრამ, როდესაც საქმე ეხება პრეზიდენტს, აი, მაშინ...

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ყველაზე უკეთ დაცული პრეზიდენტია. ამის დასტურად სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის ოფიციოზის მიერ „თეთრი თამაშების" გახსნის ცერემონიალზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დასასწრებად უსაფრთხოების თადარიგის დაჭერაც გამოდგება.

მართალია, თეთრ სახლს ჯერ არ დაუდასტურებია ბუშის შესაძლო გამგზავრება სოლტ ლეიკ სიტიში, მაგრამ საიდუმლო სამსახური და იუტას ოლიმპიადის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამეთაურო უკვე ამუშავებენ გეგმას, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო და ხალხმრავლობასთან დაკავშირებულ საკითხს მოაგვარებს.

„ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა. ოლიმპიადაზე ჩვენს უმთავრეს პრობლემას ხალხის სიმრავლე წარმოადგენს" — თქვა საიდუმლო სამსახურის რეზიდენტმა მაიკ ფიტენმა.

საიდუმლო სამსახურის საზრუნავს წარმოადგენს იმ სახელმწიფოების ლიდერთა დაცვაც, რომელთა ოლიმპიადაზე დასწრებაცაა მოსალოდნელი. გარდა ამისა, განსაკუთრებული დაცვა მოემსახურება ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინისაც, რომელსაც, ალბათ, თამაშების დახურვას ანდობენ.

სოლტ ლეიკ სიტის პოლიციის შეფი რიკ დინსი, რომელიც, სხვათა შორის, 1984 წლის ლოს ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების გეგმის შემუშავებაში მონაწილეობდა, ბუშის ვიზიტისგან მცირეოდენი ხნით საგზაო საცობებს მოელის.

**გიგა გურასაშვილი**



# შუმი პენსიამდე ლუკასია

**სრულიად** იტალია ამ მოვლენას, ანუ საერთო აზრით სამართლიანობის აღდგენას, უსასრულოდ დიდხანს, 21 წელი ელოდა. ტიფოზების სათაყვანებელმა „ფერარიმ" როგორც იქნა, სამეფო რბოლებში ლიდერობა დაიბრუნა და მიხაელ შუმახერის სისხლისფერი ბედაური წლეულს პირველი ნომრით დამშვენებული იასპარეზებს.

შარშან აბსოლუტური, ანუ პილოტ-გუნდური პირველობის დიდი უპირატესობით მოგების შემდეგ „სკუდერიის" მთელი შემადგენლობა — პრეზიდენტ ლუკა დი მონტეძემოლოდან რიგით მექანიკოსამდე, სულ ცოტა, ზედიზედ კიდევ ორი ტიტულის მოპოვებას გეგმავს. ეიფორია ისეთია, რომ იტალიელთა კვლავაც საჩემპიონო განწყობაზე უმთავრესი მტრის „მაკლარენის" გაუმჯობესებული ბოლიდის ჩინებული სატესტო მაჩვენებლები იოტისოდენა გავლენასაც ვერ ახდენს.

მონტეძემოლომ არაერთხელ განაცხადა, რომ ყოველ ღონეს იხმარს, რათა მიხაელი კარიერის ბოლომდე იყოლიოს გუნდში. შუმის კონტრაქტს ვადა 2002 წელს გაუვა. 53 წლის შეფს სჯერა, რომ გერმანელი მრბოლი „ფერარისთან" ახალ ხელშეკრულებას ხუთგზის ჩემპიონის რანგში მოაწერს ხელს. ცხადია, თავად შუმახერიც ოპტიმისტურადაა განწყობილი: „შარშანდელი გამარჯვებით უზარმაზარი ტვირთი მომეხსნა და მომავალ სეზონს უფრო დაჯერებული ვხვდები. ვაპირებთ დიდხანს შევუნარჩუნოთ „ფერარის" პირველობა და მზად ვართ, ახალ საუკუნესთან ერთად ფორმულაში „სკუდერიის" ახალი ოქროს ერა დავიწყოთ".

მიხაელი ნოემბერში გადატანილი ოპერაციის შემდეგ ბოლიდში ჩაჯდომას არ ჩქარობდა. შეგახსენებთ: მას წელიწადნახევრის წინ სილვერსტოუნში ავარიის შემდეგ მარჯვენა ფეხში ჩადგმული ლითონის ღერო ამოუღეს. ტრასაზე იგი ტესტების დაწყებიდან მხოლოდ 50 დღის მერე გამოჩნდა, თუმცა ფორმაში შესასვლელად სულ სამ-ოთხი ვარჯიშიც ეყო.

ლიდერს წლეულს „ზურგიც" მაგარი ექნება — „წითლების" მეორე პილოტმა რუბენს ბარიკელომ საქვეყნოდ ლამის დაიფიცა, რომ თანაგუნდელს ტრასაზე არავითარ შემთხვევაში არ შეებრძოლება და ყოველმხრივ დაეხმარება ტიტულის შენარჩუნებაში. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ„ ფერარიში" ყველაფერი შუმახერისთვის კეთდება.

დეკემბერ-იანვარში ყველაზე ნაყოფიერად ლუკა ბადოერმა იშრომა. ტესტ-დრაივერის მოვალეობაც ხომ ესაა — ახალი მანქანა ყველანაირ რეჟიმში გამოსცადოს და ინჟინრებს შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს, მერე კი გახედნილ-მოთვინიერებული ბედაური ძირითად პილოტებს გადაულოცოს. ლუკამ იტალიისა და ესპანეთის ტრეკებს უამრავჯერ შემოუქროლა და ერთი-ორჯერ საუკეთესო დროც აჩვენა. მაგრამ ბარსელონაში ისეთ ავარიაში მოყვა, ეგონათ, კარგა ხანს მოუწევდა მკურნალობა. რამდენჯერმე ამოყირავებულ და დამცავ ბარიერზე გადაფრენილ ბოლიდში მან კისერი ისე დაიშავა, რომ ჰოსპიტალში სპეციალური „საყელურით" დაუფიქსირეს და ორკვირიანი ბიულეტენიც გამოუწერეს. თუ ყველაფერი რიგზე იქნება, „ფერარის" სათადარიგო მძღოლი ათიოდე დღეში განაახლებს ვარჯიშს. ყოველ შემთხვევაში, მარანელოში მოწყობილ საზეიმო და ხალხმრავალ პრეზენტაციაზე ბადოერი ყოჩაღად გამოიყურებოდა. ახალი „ფერარი F1-2001"-ის წარდგენა უშუალოდ ავტოდრომზე მოხდა. საპატიო სტუმრებსა და ჟურნალისტებთან ერთად ლონისძიებას უამრავი გულშემატკივარიც დაესწრო. სანახაობა კი მართლაც დიდებული, სწორედ რომ ჩემპიონთა საკადრისი იყო.

ისე, წლევანდელი მოდელი წინამორბედისგან გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდება, თუ არ ჩავთვლით „ცხვირზე" ყველასთვის საოცნებო ერთიანს. შიგნეულობაზე ვერაფერს ვიტყვით — თითქმის ათი წელია, რაც კონსტრუქციულ სიახლეთა კარტს „სკუდერია" აღარავის უხსნის. ზოგადად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ახალი ძრავა საგრძნობლად დამსუბუქდა, თუმცა იმავდროულად სიმძლავრე მოემატა. დანარჩენი ჩემპიონატში გამოჩნდება.

**გია ახალაძე**

## ფერარი

გუნდი დაარსდა 1929 წელს
**პრეზიდენტი:** ლუკა დი მონტეძემოლო
**გენერალური დირექტორი:** ჟან ტოდტი
**ტექნიკური დირექტორი:** როს ბრაუნი
**ბოლიდი — 2001:** „ფერარი F1 — 2001"
**ძრავა:** „ფერარი 050"
**საბურავები:** „ბრიჯსტოუნი"
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1950 წლიდან
636 რბოლა; 135 მოგება; 137 პოული; 144 უსწრ. წრე; 3429,5 ქულა
ჩემპიონის ტიტული — 10; კონსტრუქტორთა თასი — 10
ტესტ-პილოტი ლუკა ბადოერი (იტალია)



**მიხაელ შუმახერი**
**გერმანია**

დაიბადა 1969 წლის 3 იანვარს ჰურტ-ჰერმოლცჰაიმში. ცხოვრობს შვეიცარიაში

სიმაღლე 174 სმ, წონა 74 კგ

ცოლშვილიანი

დებიუტი ფორმულა 1-ში: ბელგიის დიდი პრიზი (1991)

პირველი გამარჯვება: ბელგიის დიდი პრიზი (1992)

145 რბოლა, 44 მოგება, 32 პოული, 41 უსწრაფესი წრე, 678 ქულა

მსოფლიოს სამგზის (1994, 1995, 2000) ჩემპიონი

ასპარეზობდა „ჯორდანში" (1991), „ბენეტონში" (1991-95)

„ფერარიშია" 1996 წლიდან



**რუბენს ბარიკელო**
**ბრაზილია**

დაიბადა 1972 წლის 23 მაისს სან პაულუში. ცხოვრობს მონტე კარლოში

სიმაღლე 172 სმ, წონა 79 კგ

ცოლიანი

დებიუტი ფორმულა 1-ში: სამხრეთ აფრიკის დიდი პრიზი (1993)

პირველი გამარჯვება: გერმანიის დიდი პრიზი (2000)

129 რბოლა, 1 მოგება, 3 პოული, 3 უსწრაფესი წრე, 139 ქულა

ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეოთხე ადგილი (2000)

ასპარეზობდა „ჯორდანში" (1993-96), „სტიუარტში" (1997-99)

„ფერარიშია" 2000 წლიდან



მარანელოში ახალი „ფერარის" პრეზენტაციის ტიფოზებიც დაესწრნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



AP ათენიდან

## ბურთიყლაპია

ბერძნულ ფეხბურთში ერთი სქოთი მოთამაშეა და იმასაც ბურთის ჭამა გადაუწყვეტია. ეს კურიოზული ფოტო „ასოშეიტედ პრესის“ რეპორტიორმა არის მესინისმა გადაიღო ათენში, „იონიკოსისა“ და „ეთნიკოსის“ მატჩის მსვლელობისას. იონიკოსელი სქოთი, კრეიგ ბრუსტერი ბურთიყლაპია კაცად გამოჩნდა, მისმა გუნდმა კი 2:1 დაამარცხა მეტოქე.



REUTERS დენვერიდან

## ვარსკვლავთა ლაღობა

გასულ უქმეებზე ჰოკეის დიდი ყეენობა გაიმართა დენვერში. „ოლ სტარ ვიქენდად“ ცნობილი სანახაობა ამჯერად სწორედ ამ ქალაქის „ქონვენშენ სენთრში“ გაიმართა, სადაც რეგულარულ პირველობის თამაშებს მასპინძლობს „კოლორადო ევალანში“. მთავარ მოვლენად ჩრდილო ამერიკის და დანარჩენი მსოფლიოს მატჩი იყო. ამერიკელებმა 14:12 მოუგეს უცხოელებს, მათმა ბილ გერინმა (ზედა ფოტოზე მარცხნივ) კი სამი შაიბა შეაგდო, რაც მეთორმეტე ჰეთ თრიკი გამოდგა ამგვარი თამაშების ისტორიაში. ბრაიან ლიჩი გახარებული კი გერინს ულოცავს.

წინადღით უფრო სალაღობო თამაში გაიმართა. დენვერის ყინული ღვაწლმოსილმა ვეტერანებმა მოსინჯეს. „კოლორადოს გმირებად“ შედგენილი გუნდი ლიგის „გმირთა“ ნაკრებს შეეტაკა. ეს თმაშეთხელებული ულვაშა კაცი „კალგარი ფლეიმზის“ ოდინდელი კაპიტანი და ლეგენდა ლენი მაკდონალდი გახლავთ. ახალი თაობის ვარსკვლავებს დიახაც ესახელებათ მისნაირ ბებერ ხარებთან შეხვედრა და ძია ლენიც უშურველად სტოვებს თავის ხელმოწერას პეტერ ფორსბერგის სვიტერზე.

## ადიდასის ხათრით

ტოკიოში „პან პასიფიკის“ საჩოგბურთო ტურნირზე მყოფი მარტინა ჰინგისი „ადიდასის“ სარეკლამო შოუში ჩაერთო. მსოფლიოს პირველი ჩოგანი კი თავის ჩოგნიანად ააბურთავა „ადიდასის“ სხვა ხელდებულმა — ახალზელანდიელმა რაგბის მთაკაცმა ჯონა ლომუმ.




REUTERS ტოკიოდან



REUTERS ლონდონიდან

## ნიკი ბრუნდება

სახელგანთქმული და ასე ჯიგრიანი ნიკი ლაუდა ფორმულას უბრუნდება. ოღონდ კი, რა თქმა უნდა, ცალყურა მეუფე საჭეს არ მიუჯდება. ეგებ მთავარი თანამდებობა დაიჭიროს „იაგუარის“ გუნდში. ამის გამო თუ ებაასება „ფორდის“ „პრემიერ გრუპის“ თავმჯდომარეს ვოლფგანგ რაიცლეს. „პრემიერ გრუპში“ ხომ „იაგუარის“ მარკაც შემოდის.




REUTERS დენვერიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ბიკაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ავთანდილ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge